პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი,
14
აპრილი
1937 წ.
№ 85 (4886)

დღეს გაზეთში:

— საბჭოთა დემოკრატია (მოწინავე).
— საგაზაფხულო ხვნა-თესვა.
— ჩაის სამუშაოები.
— ნარინჯოვანთა სამუშაოები.
— ს. ჩიქოვანი. საბჭოთა ეპოქის უნივერსი პოეტი.
— აპ. ნუცუბიძე. გლეხობის მდგომარეობა გერმანიაში (ფელეტონი).
— აგრ. მ. რამიშვილი. ოჯალეში წამეგრელოში (ფელეტონი).
— ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. [illegible] ბანი (ფელეტონი).
— თბილისში გაიხსნა საკავშირო [illegible] უცხოეთში.
— მდგომარეობა ესპანეთში.
— შაიახის მთავრობის დეკლარაცია.
— რიბენტროპის მოლაპარაკება იოსიდასთან.
— შეკითხვა თემთა პალატაში.

საბჭოთა დემოკრატია

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებანი შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლის შესახებ ეხება, რა თქმა უნდა, საბჭოებსაც,—პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს. განუხრელად გავატაროთ პლენუმის გადაწყვეტილებანი, განვახორციელოთ ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მითითებანი—ეს ნიშნავს კიდევ უფრო განვამტკიცოთ პროლეტარული დიქტატურის ორგანოები—საბჭოები, გადავაქციოთ ისინი მტრისათვის მიუვალ უფრო ძლიერ ციხე-სიმაგრედ. პროლეტარული ორგანოების განმტკიცება კი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების განუხრელად გატარებასთან.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ—ამ დიდმა სახალხო ხარტიამ—მშრომელთა აქტივობის ახალი აზვირთებანი გამოიწვია. მან უფრო გააძლიერა საბჭოთა მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა, იგი შრომის ახალი ენტუზიაზმის დაუშრეტელ წყაროდ აქცია.

მშრომელთა პოლიტიკურმა აქტივობამ გამოხატულება უკვე ჰპოვა საბჭოთა ორგანოების მუშაობაში. მათი მუშაობა გაუმჯობესდა, უფრო გამოცოცხლდა, გააქტიურდა.

მაგრამ საბჭოების მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახლავს. ამ ნაკლთა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა საბჭოთა დემოკრატიის პრინციპის უხეში დარღვევანი, საბჭოთა მოქალაქის—როგორც დეპუტატის, როგორც ამომრჩევლის—უფლებისყოფის უგულებელყოფა, ზოგჯერ პირდაპირ აბუჩად აგდებაც კი. ასეთია საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების დარღვევის შეუწყნარებელი ფაქტები, რასაც ხშირად ვხვდებით როგორც ქალაქის, ისე საარაიონო და სასოფლო საბჭოებში.

გამორკვეულია, რომ ჭიათურის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომებს პრეზიდიუმის წევრთა უმცირესობა ესწრებოდა, არ იცავდნენ ქვორუმს. მაგალითად, გასული წლის 5 მაისს პრეზიდიუმის სხდომას, ნაცვლად 15 წევრისა, დაესწრო მხოლოდ 4. უკეთესად არ არის საქმე გორის რაიაღმასკომშიც. გორის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გასული წლის 26 თებერვლის სხდომას 16 წევრ-კანდიდატიდან მხოლოდ 4 წევრი დაესწრო. ასეთი „სხდომები“ აღნიშნულ რაიონებში გამონაკლისს არ წარმოადგენენ.

საბჭოთა დემოკრატიის უხეში დარღვევის ფაქტები გვაქვს სასოფლო საბჭოებშიც. მაგალითად, გორის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას 1936 წლის 26 იანვარს 5 წევრ-კანდიდატიდან მხოლოდ 2 დაესწრო. მიმდინარე წლის 4 იანვარს სხდომას დაესწრო პრეზიდიუმის მხოლოდ ერთი წევრი—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ამის შემდეგ გასაგებია, თუ რა ფასი ექნებოდა ასეთ „სხდომას“. საბჭოთა დემოკრატიის ასეთ ყოვლად შეუწყნარებელ დამახინჯებას, როდესაც საბჭოთა ორგანოები შეცვლილი არიან ეგრეთწოდებული „ერთმმართველობის“ პრინციპით, ბოლო უნდა მოეღოს.

საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების დარღვევა გამოიხატებოდა აგრეთვე პლენუმებისა და პრეზიდიუმთა სხდომების მოუწვევლობაში. ყარაიას რაიაღმასკომს 1935—1936 წლების განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევია რაიაღმასკომის პლენუმი. გასულ წელს მან პრეზიდიუმის სხდომა მხოლოდ 7-ჯერ მოიწვია,—სამაგიეროდ საკითხების დიდ უმრავლესობას ეგრედწოდებული „შეკითხვით“ ატარებდა. ასეთი „შეკითხვის“ წესით ყარაიის რაიაღმასკომმა აღნიშნულ წლებში 117 ოქმი გააფორმა. ამავე რაიაღმასკომმა 1937 წელს მოიწვია 4 სხდომა, ბოლო „შეკითხვით“ გააფორმა 49 ოქმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ „დაუსწრებელ სხდომებზე“ ხშირად იხილავდნენ ფრიად სერიოზულ საკითხებს. ანალოგიური მდგომარეობაა აგრეთვე ჯულელის, ბორჯომის და ლუქსემბურგის რაიონებში.

ხშირად რაიაღმასკომებისა და სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმებისა და პლენუმების სხდომებზე არ სწარმოებს დამსწრეთა აღრიცხვა, არ სწერენ აგრეთვე კამათში გამოსული ორატორების სიტყვებს, რის გამო ოქმები მშრალი, კანცელარიული სტილით კეთდება ხოლმე.

საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს ხშირად უხეშად არღვევენ კოოპტაციის სისტემით. კოოპტაციის უნივერსალური პრაქტიკა ხშირი იყო როგორც რაიაღმასკომებში, ისე სასოფლო საბჭოებშიც. მაგალითად, ჯულელის რაიაღმასკომის პლენუმიდან გამოყვანილ იქნა 11 წევრი და 1 კანდიდატი, აგრეთვე გაირიცხა 2 წევრი, გამოყვანილთა მაგივრად კოოპტაციით შეიყვანეს 13 კაცი. ბორჩალოს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში 9 კაციდან კოოპტაციით შეყვანილია 8.

აღმაშფოთებელია ის უმსგავსო ფაქტი, რომ ზოგიერთ სასოფლო საბჭოში საბჭოს „მეურნეობის“ მოუწესრიგებლობის გამო არც კი იციან პლენუმის წევრების შემადგენლობა, ბორჩალოს რაიაღმასკომში არ აღმოჩნდა ოქმი რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ტერეგულოვის არჩევის შესახებ!

კოოპტაციის ყოვლად უმსგავსო ფორმას ადგილი ჰქონდა ქვემო-საქარის სასოფლო საბჭოში, სადაც პრეზიდიუმის წევრებად კოოპტაციის წესით შეიყვანეს არა პლენუმის წევრები.

ბევრგან საბჭოთა დემოკრატიას არღვევდნენ აგრეთვე ანგარიშის ჩაუბარებლობით. ყველგან არ იყო პრაქტიკაში შემოღებული პლენუმებისათვის ანგარიშის ჩაბარება. ხშირად ანგარიშჩაბარება ატარებდა აშკარა ფორმალურ, ბიუროკრატიულ ხასიათს. ანგარიშის ჩაბარებას ავალებდნენ საბჭოს არაწევრებს, ეგრეთწოდებულ „კვალიფიციურ“ მომხსენებლებს.

საბჭოთა დემოკრატია ხშირად ირღვეოდა თავმჯდომარეების შეცვლის დროს. წამსვლელი თავმჯდომარეები ანგარიშს არ აბარებდნენ ამომრჩევლებს, ამით აბუჩად იგდებდნენ მათ. საბჭოთა თავმჯდომარეების მოხსნა და დანიშვნა ხდებოდა საბჭოთა დემოკრატიის უხეში დარღვევით. მაგალითად, ლანჩხუთის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის ერთერთ ოქმში ნათქვამია: „აცანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. პ. კიკნაძე“.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ, რომელსაც უმაღლეს საფეხურზე აჰყავს სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა, უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა საბჭოთა დემოკრატია და ჩვენი საბჭოთა ორგანოები ახალი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების წინაშე დააყენა. სტალინური კონსტიტუცია გადაჭრით მოითხოვს ჩვენი საბჭოთა ორგანოებისაგან მათი მუშაობის ახლებურად, მოწყობას, ძირფესვიანად გარდაქმნას, გაუმჯობესებას, საბჭოთა დემოკრატიის განუხრელად დაცვას.

სტალინური კონსტიტუციის დიადი საკაცობრიო პრინციპები ღრმად შეიჭრა საბჭოთა ხალხის შეგნებაში, ეს პრინციპები ღრმადაა გამჯდარი ჩვენი ხალხის ძვალსა და რბილში. ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ საბჭოთა დემოკრატიის დარღვევა ამიერიდან ასე მშვიდობიანად, უჩინრად, დაუსჯელად ჩაივლის, საბჭოთა ხალხის დემოკრატიული უფლებანი შეუზღუდველია. ხალხის კონტროლი ამ უფლებათა შემადგენელი ნაწილია. და თვით საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით დაუყოვნებლივ გამოააშკარავებს და სასტიკად დაჰგმობს საბჭოთა დემოკრატიის უკვდავ პრინციპების ყოველგვარ შელახვას, ამ შელახვის ოდნავი ცდასაც კი.

აი, აგრეთვე ამაში მდგომარეობს მუშათა კლასის დიქტატურის, მუშებისა და გლეხების სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება, უძლეველობის შემდგომი ზრდა-განვითარება.

უნდა შევიგნოთ მტკიცედ და საფუძვლიანად უდავო ჭეშმარიტება: საბჭოთა დემოკრატიის დარღვევა მუშათა კლასის დიქტატურის შესუსტებაა, მაშასადამე, ის ისეთი მოქმედებაა, რომელიც მიმართულია სოციალისტური სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის ინტერესების, კომუნიზმის წინააღმდეგ და შორდება საბჭოთა კანონიერების ფარგლებს.

ჩაის სამუშაოები

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

რაიონები	პლანტ. გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება პროცენტობით	ჩაის თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება პროც.	მიმდინარე რემონტის გეგმის შესრ. პროც.	აზოტოვანი სასუქის შეტანის გეგმის შესრულება პროცენტობით	კვალთების მოხადების გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	14,4	—	89,5	92,6	45,1	134
ქობულეთი	14,3	69,1	62,1	42	33,1	78,1
მახარაძე	101,3	100	104,6	100,6	52,2	34,1
ჩოხატაური	75,7	100	100	100	55,8	70
ლანჩხუთი	70	84	98	99	16,3	90,5
სამტრედია	—	—	113	105,4	100	100,2
წულუკიძე	96	108,5	100	100	55,5	99,3
ქუთაისი	4,4	117,8	100	78,5	—	6,4
ტყიბული	50	100	100	109	100	102,1
ცხაკაია	84,7	100	92,4	87,4	17,8	100
გეგეჭკორი	100	96,3	95	98,4	—	100
ზუგდიდი	138,3	98,5	129	104,1	15,3	100
წალენჯიხა	70	110	106,6	95,8	24	88,2
ჩხოროწყუ	54,8	100	102,6	100	17	68,4
ხობი	100	100	68,3	97,4	38,1	79,6
აფხაზეთის ასსრ	34	90,8	88,3	86,7	33	55,8
სულ	36	99	100,9	38,3	33	78,6
დამთავრების ვადა —	1/VII	1/IV	1/IV	1/IV	15/IV	1/IV

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს დეპეშების მიხედვით)

მადრიდის ფრონტზე კაზა დელ კამპოს რაიონში 12 აპრილს გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა საუკეთესო რეზერვებს მთელ რიგ კონტრიერიშებზე გადასასვლელად. მისი ცდები დაამსხვრია რესპუბლიკური ჯარების წინააღმდეგობამ. რესპუბლიკურმა ჯარებმა შეინარჩუნეს ყველა პოზიცია წართმეული მოწინააღმდეგისათვის უკანასკნელ ბრძოლებში მადრიდის ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. მეამბოხეებმა სცადეს აგრეთვე უშედეგო კონტრიერიში რესპუბლიკელების მიერ ახლად დაკავებულ პოზიციებზე ესკორიალის რაიონში.

11 აპრილს რესპუბლიკურმა ჯარებმა ააფეთქეს მეამბოხეების მიერ მდინარე მანსანარესზე გაკეთებული პონტონის ხიდი, ერთადერთი გზა მეამბოხეთა იმ ჯარების ურთიერთშორის მიმოსვლისათვის, რომლებიც იმყოფებიან კაზა დელ კამპოსა და საუნივერსიტეტო უბანში.

გვადალახარის რაიონში ვალფორმოსო დე ლას მონხასის ახლოს მეამბოხენი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. მათ დასტოვეს ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული, საზენიტო ბატარია, ორი ტყვიამფრქვევი და 27 ყუთი საომარი მასალით.

რესპუბლიკელთა ავიაციამ ექვსჯერ დაუშინა ყუმბარები მეამბოხეთა პოზიციებს ხარაბიტასისა და აგილას მაღლობებზე.

კომპარტიის მადრიდის ოლქკომის მიწვევით, კომპარტიის საოლქო კონფერენციაზე ჩავიდა გენერალი მიახა, რომელსაც მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ. გენერალი მიახა მიესალმა კონფერენციას და განაცხადა, რომ ოპერაციები მადრიდის ფრონტზე არაჩვეულებრივი წარმატებით ვითარდება, და რომ სახალხო არმია, როგორც ერთი კაცი, აღფრთოვანებულია იმის სურვილით, რომ მაგრად დახვდეს მტერს.

მთელი რიგი უშედეგო კონტრიერიშების შემდეგ მადრიდის ფრონტზე მეამბოხეებმა თერთმეტ აპრილს ყუმბარები დაუშინეს დედაქალაქის ცენტრს. გრან ვიას ქუჩაზე მოკლულია 5 და დაჭრილია 21 კაცი. რამდენიმე კაცი დაჭრილია პუერტა დელ სოლის მოედანზე.

სამხრეთ ფრონტზე (კორდოვის რაიონში) რესპუბლიკელები, რომელნიც განაგრძობდნენ შეტევას პენიაროისა და ფუენტე ოვეხუნაზე, ახლო მიადგნენ ფუენტე ოვეხუნას. რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა ფუენტე ოვეხუნას მიდამოებს, გზას, რომელიც აერთებდა ამ სოფელს ბელმესთან, სოფელ ლოპერის რაიონს, სადაც დანგრეულია მეამბოხეთა სიმაგრეები, აგრეთვე მოწინააღმდეგის პოზიციებს მოტრილში (მალაგასა და ალმერიას შუა).

ასტურიის ფრონტზე, ადორის უბანზე, ოვიედოს ჩრდილო დასავლეთით 11 აპრილს რესპუბლიკელებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სამი კილომეტრით წაიწიეს წინ.

ბისკაის ფრონტზე მეამბოხეთა უშედეგო ოპერაციის შემდეგ ერთგვარი სიწყნარე ჩამოვარდა.

მეამბოხეთა ავიაცია ცდილობდა ბილბაოს ბომბარდირებას, მაგრამ, ვერ მოასწრო რა ყუმბარების ჩამოყრა, დაიმალა, როდესაც მთავრობის ავიაგამანადგურებლები გამოჩნდნენ.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაიომ, რეიტერის სააგენტოს თხოვნით, ტელეფონით აცნობა ლონდონს: „სამხედრო მდგომარეობა ხელსაყრელია. შეტევა კარგად მიდის. მადრიდზე იერიშის მოტანამ შექმნა ცენტრალური არმია. პოსობლანკოზე შეტევამ შექმნა სამხრეთის არმია, ბილბაოზე მიწოლა შექმნის ჩრდილოეთის არმიას. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მთავრობის სასარგებლოდ. მდგომარეობას ოპტიმისტურად ვუცქერი“.

მეამბოხე ფაშისტთა თვითმფრინავმა 11 აპრილს 7 ყუმბარა ჩამოაგდო ნავსადგურ საგუნტოში, ვალენსიის ჩრდილოეთით. 5 კაცი მოკლულია, მრავალია დაჭრილი. ნავსადგურს დიდი ზიანი მიაყენეს. თვითმფრინავი იძულებული იყო შეეწყვიტა ბომბარდირება რესპუბლიკელთა საჰაერო თავდაცვის მოქმედების შედეგად.

გენერალ მიახას განცხადება

პარიზი, 11 აპრილი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, გუშინ 20 საათზე ადგილობრივი დროით, მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მიახამ, როდესაც იგი მადრიდთან წარმოებულ ოპერაციებზე ლაპარაკობდა, განუცხადა ჟურნალისტებს:

„სერო დელ აგილასა და კაზა დელ კამპოში გრძელდება გაფთრებული ბრძოლა. ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგისაგან მხოლოდ 20 მეტრით არიან დაშორებული. ბრძოლებში ვიყენებთ ხელით სასროლ ყუმბარებს. მოქმედებათა ინიციატივა ჩვენ გვეკუთვნის. რესპუბლიკის მეომრებმა გვიჩვენეს მაღალი ბრძოლისუნარიანობა და დაიკავეს მეამბოხეთა გამაგრებული სანგრები. ბრძოლა წინანდელი ძალით გრძელდება“.

ესპანეთის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 12 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტომ ესპანეთის საელჩოსაგან მიიღო შემდეგი განცხადება: „იმის გამო, რომ უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ზოგიერთი ცნობა, ბასკთა ქვეყნის ავტონომიური მთავრობა, საჭიროდ სთვლის განაცხადოს: სავაჭრო გემების უშიშროებას ბილბაოსთან ესპანურ თუ არაესპანურ ტერიტორიულ წყლებში უზრუნველჰყოფენ მთავრობის გემები და ბილბაოს სანაპირო არტილერია. დღევანდლამდე მეამბოხეთა არცერთი სამხედრო გემი არ გამოჩენილა სამმილიანი ზონის ფარგლებში“.

გერმანიის ყუმბარა, გატენილი... პაპიროსებით

ლონდონი, 12 აპრილი (საქდესი). „ედილი ჰერალდის“ მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გენერალმა მიახამ უჩვენა მას გერმანული წარმოების ყუმბარა, რომელიც ჩამოვარდა ხარამის ფრონტზე და არ გასკდა. ყუმბარაში აღმოაჩინეს პაპიროსები და ბარათი გერმანულ ენაზე: „ჩვენს ესპანელ ამხანაგებს“.

ცენტრალურ ფრონტზე

პარიზი, 11 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია: გუშინ ცენტრალურ ფრონტზე, კაზა დელ კამპოს რაიონში, რესპუბლიკელებმა დაიკავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოზიციები. ბრძოლები ღებულობდნენ ხელჩართულ შეტაკებათა ხასიათს, რომლის დროს ყუმბარებს იყენებდნენ. მოწინააღმდეგის ზარალი ძალიან დიდია. მეამბოხეთა სიმაგრეები სავსებით დანგრეულია. ამ ოპერაციებს საგრძნობლად უწყობდა ხელს რესპუბლიკის ავიაცია, რომელმაც მრავალი ყუმბარა გადმოჰყარა მეამბოხეთა პოზიციებზე. ყუმბარებს უშენდა რა სადაზვერვო ფრენის დროს მეამბოხეთა ჯარებს, ავიაცია ხელს უშლიდა იმ კონტრშეტევის გაშლას, რასაც მოწინააღმდეგე ამზადებდა.

ესკორიალის რაიონში რესპუბლიკის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს. მეამბოხეთა ბანაკიდან რესპუბლიკელთა მხარეზე სრული შეიარაღებით გადმოვიდა 9 კაცი. მათი ნათქვამი ადასტურებს, რომ მეამბოხეთა შორის ადგილი აქვს დემორალიზაციას.

რესპუბლიკელთა ნაწილები პენიაროიზე 3 კილომეტრით არიან დაშორებული

პარიზი, 11 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება: გუშინ საღამოს რესპუბლიკის ჯარები იმყოფებოდნენ პენიაროიდან სამი კილომეტრის და ფუენტე ოვეხუნიდან სამი კილომეტრის მანძილზე. მეამბოხეთა ჯარისკაცები, რომლებიც რესპუბლიკელებმა ტყვედ წამოიყვანეს, აცხადებენ, რომ უკანასკნელ დროს ამ ფრონტზე მეამბოხეებს მოუვიდათ დამხმარე ძალები იტალიის ნაწილების სახით.

რესპუბლიკელებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის სანგრების ახალი ხაზები

პარიზი, 11 აპრილი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობაში, რომელიც დღეს შუადღეზე გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მთავრობის ჯარებმა გაამაგრეს ყველა დაკავებული პოზიცია მდინარე მანსანარესის დასავლეთით და მოიგერიეს მეამბოხეთა მიერ ფრანგული ხიდის რაიონში დაწყებული მთელი რიგი ძლიერი კონტრშეტევები. რკინიგზა, რომელიც ამ რაიონში გადის, მთლიანად ჩვენს ხელშია.

კაზა დელ კამპოს რაიონში რესპუბლიკის ჯარებმა, რომლებსაც ძლიერ დახმარებას უწევდა ავიაცია, გადალახეს მტრის გაფთრებული წინააღმდეგობა და დაიკავეს მეამბოხეთა სანგრების ახალი ხაზები“.

მეამბოხეთა საშინელი მდგომარეობა საუნივერსიტეტო უბანში

პარიზი, 13 აპრილი (საქდესი). იმის გამო, რომ მეამბოხენი საშინელ მდგომარეობაში არიან საუნივერსიტეტო უბანში, მათი ჯარები კაზა დელ კამპოში 11 აპრილს ღამით და 12 აპრილს მთელი დღის განმავლობაში გაძლიერებით უტევდნენ რესპუბლიკელთა პოზიციებს. მტერი ყველგან მოგერიებულია.

მტრის არტილერია ყუმბარებს უშენდა მადრიდს. ზიანი უმნიშვნელოა.

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა მფრინავების საჰაერო შეჯიბრება

ხელშემწყობი კომიტეტის სხდომა

მოსკოვი, 11 აპრილი (საქდესი). გუშინ „პრავდის“ რედაქციაში კორპუსის კომისრის ამხ. რ. პ. ეიდემანის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა მფრინავების საჰაერო შეჯიბრებათა ორგანიზაციის ხელშემწყობი კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა დაამტკიცა შემდეგი თასები და ჯილდოები მომავალ საჰაერო შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის: გაზეთ „პრავდის“ თასი და 50 ათასი მანეთი ჯილდო — სახმელეთო თვითმფრინავებით პირდაპირი ხაზით სიშორის რეკორდის მიღწევისათვის; საკ. ალკკ ც. კ-ის თასი და 50 ათასი მანეთის ჯილდო იმათთვის, ვინც გაიმარჯვებს სასპორტო თვითმფრინავთა ჩქარი ფრენის შეჯიბრებებში; თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თასი და 25 ათასი მანეთის ჯილდო ჰაერონოსნობის შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის; გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ სახელობის პრემია — 20 ათასი მანეთი — ოდესა — ბათუმის ტრასით სარეკორდო გადაფრენის დამყარებისათვის და გაზეთ „ნა სტრაჟე“ სახელობის ჯილდო — 20 ათასი მანეთი — მოსკოვ — სევასტოპოლის ან სევასტოპოლ — მოსკოვის ტრასით სარეკორდო გადაფრენის დამყარებისათვის.

გარდა ამისა, დაწესებულია სახელობითი ჯილდოები: ორი ჯილდო, 50 ათასი მანეთისა თითო, ისეთ ერთადგილიან და მრავალადგილიან სახმელეთო თვითმფრინავთა ჩქარ ფრენაში გამარჯვებულთათვის, რომელთა ძრავ-მოტორთა ჯგუფის სიმძლავრე განსაზღვრული არ არის; 50 ათასი მანეთის ჯილდო აბსოლუტური სიჩქარის მიღწევისათვის; 40 ათასი მანეთის ჯილდო აბსოლუტური სიმაღლის მიღწევისათვის; 40 ათასი მანეთის ჯილდო მოსკოვ — ხაბაროვსკის ტრასით სარეკორდო გადაფრენისათვის და 25-25 ათასი მანეთის ჯილდოები მოსკოვ — ტაშკენტის ტრასით მამაკაცთა და ქალთა სარეკორდო გადაფრენების დამყარებისათვის.

კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია სასპორტო თვითმფრინავთა მომზადებას ჩქარ გადაფრენებში შეჯიბრებისათვის. ეს გადაფრენები მოხდება ივნისის მეორე ნახევარში.

ბრიგადის კომისარმა ამხ. ლეინშა აცნობა სხდომას, რომ გამოჩენილი საბჭოთა მფრინავებისაგან სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიაში შემოსულია 30-მდე განცხადება სასპორტო თვითმფრინავთა ჩქარი ფრენის შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს დაახლოვებით 20 თვითმფრინავი ათი სხვადასხვა ტიპისა.

სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი 24 აპრილს ტუშინოს აეროდრომზე აწყობს რამდენიმე თვითმფრინავის დემონსტრაციას, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ მომავალ საჰაერო შეჯიბრებებში.

მაისში მფრინავები უკვე მიიღებენ შესაძლებლობას ივარჯიშონ იმ მანქანებზე, რომლებიც განკუთვნილია შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

არქივი მასალებისა ვ. ვ. მაიაკოვსკის შესახებ

მოსკოვი, 11 აპრილი (საქდესი). სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმში მთავრდება ვ. ვ. მაიაკოვსკის შესახებ მასალების არქივის მეცნიერული აღწერა. მაიაკოვსკის ფონდი ეკუთვნის მუზეუმის ფრიად საინტერესო კოლექციათა რიცხვს. ამ ფონდში არის პოეტის დაახლოვებით 40 დიდი ხელნაწერი, მათ შორის პრაღაში ამ ცოტა ხნის წინათ შეძენილი ხელნაწერთ პოემისა „150.000.000“, პოემის ცალკეული სტრიქონებისა და სტროფების მრავალრიცხოვანი გამოუქვეყნებელი ვარიანტებით.

განსაკუთრებული სისრულით განირჩევა მაიაკოვსკის მიერ დაწერილი კინოსცენარების კოლექცია, რეჟისორული დამუშავების მრავალი ვარიანტით.

ამჟამად მუზეუმი ამზადებს მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავ გამოფენას, რომელიც გაიხსნება უახლოეს დღეებში.

ამხ. ფარიხის გადაფრენა

ტიქსის ბუხტი, 11 აპრილი (საქდესი). დღეს, 2 საათსა და 30 წუთზე, პილოტი ფარიხი გაფრინდა ამბარჩიკის ბუხტიდან. 7 საათსა და 18 წუთზე თვითმფრინავი „ნ-120“ დაეშვა შალაუროვის კონცხზე (ლიახოვის კუნძულები). ხვალ ამხ. ფარიხი განაგრძობს ფრენას მარშრუტით.

კოლმეურნეობათა დაკრედიტება

მოსკოვი, 11 აპრილი (საქდესი). პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ კოლმეურნეობათა სამეურნეო და ფინანსურ განმტკიცებას და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. თუ შარშან კოლმეურნეობათა დასაკრედიტებლად გამოჰყვეს 810 მილიონი მანეთი, 1937 წელს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა გრძელვადიანი საწარმოო დაკრედიტებისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით 1.104 მილიონი მანეთი გაიცემა.

ამ თანხის თითქმის ნახევარი — 401,3 მილიონი მანეთი—გამოყოფილია მეცხოველეობის განვითარებისათვის.

250 მილიონ მანეთზე მეტი გამოყოფილია საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის ამაღლებისათვის და გვალვასთან ბრძოლისათვის.

კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციისათვის მიმდინარე წელს გაიცემა 65 მილიონი მანეთი და კოლმეურნეთა პირადი სარგებლობისათვის ცხვრის მოსაშენებლად — 20 მილიონი მანეთი.

ამხ. მემედ ფალავა
ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის ორდენოსანი სტახანოველი
ფოტო — კ. საბახტარიშვილისა

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 12 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, პარლამენტის წევრმა ლიბერალმა სინკლერმა თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა: რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა ბილბაოში მომავალი ინგლისური სავაჭრო გემების დასაცავად?

ბოლდუინმა ამაზე უპასუხა: მთავრობამ განიხილა მდგომარეობა, რომელიც ბილბაოს რაიონში შეიქმნა ინგლისის ნაოსნობისათვის. საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში, განაცხადა ბოლდუინმა, იმ პრობლემის პრაქტიკული მხარეები, რომელიც წამოიჭრა ესპანელ მეამბოხეთა მიერ ბილბაოს ბლოკირების ცდასთან დაკავშირებით. რამდენადაც ეს ნავსადგური უშუალოდ არის დაახლოვებული საომარ ზონასთან, გემებს ამ ნავსადგურში შესვლისას მოელით ჰაერიდან ბომბა დირების საფრთხე. გარდა ამის იმის გამო, რომ ბილბაოსთან მისა ვლელი ადგილი დანაღმულია, ნა სადგურში შესვლა სახიფათო ხდ ბა. მთავრობამ გადასწყვიტა, განაც ხადა შემდეგ ბოლდუინმა, რომ მ არ შეუძლია აღიაროს, ან მიანიჭ უფლება მეომარ მხარეს. იგი აგრე ვე არ დაუშვებს არავითარ ჩარევ ინგლისის ნაოსნობაში.

ესპანეთის ჩრდილო სანაპიროს კენ, აღნიშნა ბოლდუინმა, სახაზ გემ „ჰუდით“ გაემგზავრა ვიცე-ად მირალი, რომელიც მეთაურობს ს ხაზო გემების რაზმს. მთავრობ ფიქრობს რომ, თუ მხედველობაშ იქნება მიღებული ამ წყლებში შე მნილი მდგომარეობა, ფლაგმან განკარგულებაში უნდა იყვნენ სათ ნადო საზღვაო ძალები.

◇ ◇ ◇

რიბენტროპის მოლაპარაკება იოსიდასთან

ლონდონი. იუწყებიან, რომ გერმანიის ელჩი რიბენტროპი და იაპონიის ელჩი იოსიდა შევბულებას გაატარებენ სენაივსის (სამხრეთ ინგლისი) ქროსადაიმავე სასტუმროში. „ნიუს ქრონიკლის“ ბერლინელი კორესპონდენტის სიტყვით, რიბენ ტროპის და იოსიდას მოლაპარაკება პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დ იგი დაკავშირებულია იაპონიის პრინ ცის ციციბუს ბერლინში გამგზა ვრებასთან (საქდესი).

◇ ◇ ◇

ინგლისის სახაზო გემი „ჰუდი“ ჩავიდა ბილბაოს რაიონში

ლონდონი, 12 აპრილი (საქდესი). როგორც სენ ჟან დე ლიუსიდან იუწყებიან, ინგლისის სახაზო გემი „ჰუდი“ დღეს ჩავიდა ბილბაო რაიონში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

რაიონები	საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში: მოხნულია ჰექტ-ბით	გეგმის შესრულ. პროც.	თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში: დათესილია ჰექტ-ბით	გეგმის შესრულ. პროც.
ახალქალაქი	661	2,5	2386	6,5
ბოგდანოვკა	1731	19	1633	7,9
ახალციხე	1975	56,3	5443	43,2
ადიგენი	514	53,9	1871	22,1
ასპინძა	777	42,1	3481	35,7
ხაშური	6933	102,5	8503	33,5
გორი	10435	73,7	5210	24,8
კასპი	6840	99,6	4668	43,7
ბორჯომი	802	23,9	1283	21,6
გურჯაანი	8060	99,8	6970	52,9
სიღნაღი	15550	100,5	14469	66,5
თელავი	8875	114,9	6657	39,4
ყვარელი	2844	60,7	2181	29,1
ლაგოდეხი	3136	100	3201	33,1
თბილისი	8658	104,8	8093	60,7
ყარაია	2223	104,8	1019	29,8
ბორჩალო	5521	105,1	2205	24,6
ლუქსემბურგი	2562	73,1	2659	45,3
წალკა	2348	16,9	4035	17,5
დუშეთი	3268	67,2	3304	27,7
ალბულალი	4264	72,6	5416	46,8
საგარეჯო	6006	57,4	5100	37,2
ბაშკიჩეთი	1935	34,1	1302	12,7
თიანეთი	1067	23,3	2132	24,5
ქუთაისი	10288	85,8	6035	22,8
სამტრედია	9055	95,5	264	1,9
წულუკიძე	4941	99,1	912	8,4
ვანი	5153	101	1523	15
ბაღდათი	3495	80,5	1695	26,7
ჯულელი	3758	53,8	2858	29,6
ჩხარი	3166	57,1	4331	48,1
ჭიათურა	12806	78,4	7990	28,2
ორჯონიკიძე	3336	39,7	3681	34,3
ტყიბული	3078	60,7	4203	45,7
ონი	1239	28,9	1384	21,4
ამბროლაური	2796	40,3	2846	34,2
ცაგერი	1787	48	2069	23,8
ქვემო-სვანეთი	35	100	684	31,9
აბაშა	11448	94,3	484	2,9
ცხაკაია	8554	78,1	1679	9,4
გეგეჭკორი	7496	101,7	2085	13,7
ზუგდიდი	7282	87,2	832	4,7
ხობი	4706	83,6	198	1,8
წალენჯიხა	1225	68,4	445	6,5
ჩხოროწყუ	2307	47,7	229	2,4
მახარაძე	4140	75,6	65	0,9
ლანჩხუთი	6257	75,9	297	3,1
ჩოხატაური	3507	77,9	550	7,2
ზემო-სვანეთი	—	—	75	3,6
ფოთი	1035	153,3	—	—
აფხაზეთის ასსრ	31481	82,5	1630	2,6
აჭარის ასსრ	1847	41,3	967	4,6
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	9151	70,6	10765	38,3
სულ რესპუბლიკაში	272354	68,9	163997	22,5

გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებში დათესილია 5.189 ჰექტარი (გეგმის 58,2 პროცენტი). სულ რესპუბლიკაში (ყველა სექტორში) 10 აპრილისათვის დათესილია 169.186 ჰექტარი — გეგმის 22,9 პროცენტი.

მტკიცედ დავიცვათ შინაპარტიული დემოკრატია!

სალი კრიტიკით ჩატარდა საარჩევნო კრება

9 აპრილია, დილის 10 საათი. დარბაზში, სადაც პარტიული კრება უნდა შესდგეს, მრავალ კომუნისტს მოუყრია თავი. ამხანაგები ელიან კრების გახსნას, იციან, რომ დღეს შეჯამდება განვლილი დროის მუშაობა და დაისახება პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ერთწლიანი კურსებისა და პროპაგანდისტთა რესპ. სკოლის პირველადი პარტორგანიზაციის კრება მიძღვნილია პარტორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კომპანიისადმი.

დღის წესრიგშია: პარტკომის ანგარიში, პარტკომის წევრთა და რაიპარტკონფერენციის დელეგატთა არჩევნები.

კრებისათვის წინასწარმა მოსამზადებელმა მუშაობამ სანიმუშოდ ჩაიარა. 4 დღით ადრე ეცნობა პარტიის ყველა წევრს დღის წესრიგი, მოეწყო პარტჯგუფების კრებები, სადაც განიხილეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წერილი პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ.

კრება დანიშნულ საათზე გაიხსნა. დღის წესრიგის დამტკიცებისა და რეგლამენტის განსაზღვრის შემდეგ კრებამ მოისმინა პარტკომის მდივნის ამხ. ზიბზიბაძის საანგარიშო მოხსენება, რის შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 26 ამხანაგმა.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ პარტორგანიზაციის მუშაობას ახლდა სერიოზული ნაკლოვანებანი.

პარტორგანიზაცია ისმენდა კომუნისტების თვითანგარიშს (გვენეტაძე, კაიშევი, ტურიევი და სხვები), მაგრამ ამას ხშირად კამპანიურობის ხასიათი ეძლეოდა. ზოგჯერ თვითანგარიში კომუნისტის ბიოგრაფიის გაცნობით მთავრდებოდა.

კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების შედეგად პარტორგანიზაციაში უკანასკნელ დრომდე თავს იფარავდა შენიღბული ტროცკისტი ნიკიტა ჯიბლაძე. ჯიბლაძე ჯერ კიდევ 1936 წლის აგვისტოში კონტრრევოლუციურ ლაყბობას ეწეოდა და ქება-დიდებას ასხამდა ხალხის მტრებს ტროცკის, ბუხარინს და რიკოვს. ამის შესახებ პარტკომში შევიდა განცხადება, მაგრამ საქმის მსვლელობა არ მისცემია. სკოლისა და კურსების აპარატი დანაგვიანებული იყო კლასობრივად უცხო ელემენტებით. ყოფილმა დირექტორმა ვ. სიხარულიძემ ბუღალტრის თანამდებობაზე მოაწყო ხალხის მტერი დაშნაკი აირიანი და ყოფ. თეთრგვარდიელი ოფიცერი ტრიფონოვი.

სიხარულიძის მოხსნის შემდეგ დირექტორად გურჯიშვილი დაინიშნა. მაგრამ არც იმას მიუღია ზომები. პირიქით, თვითონ ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ლაყბობას, სახელმწიფო თანხების უთავბოლო ხარჯვას.

იყო თვითკრიტიკის ჩახშობის ფაქტებიც. ამხ. გვალიამ პარტიულ კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომელშიც გურჯიშვილს მრავალ ბრალდებას უყენებდა, მაგრამ პარტკომმა გურჯიშვილის წინააღმდეგ არა თუ ზომები არ მიიღო, არამედ თვით მოექცა გურჯიშვილის გავლენის ქვეშ და უმართებულოდ საყვედური გამოუცხადა გვალიას: „როგორ გაბედე დირექტორის დამუშავებაო". გურჯიშვილის ანტიპარტიულ ლაყბობას და მის სხვა დანაშაულებრივ მოქმედებას ფარდა აეხადა. მან ღირსეული სასჯელი მიიღო.

მომხსენებელი და კამათში გამოსული ამხანაგები, აღნიშნავდნენ რა ყველა ამ დეფექტებს, იძლეოდნენ კონკრეტულ წინადადებებს მომავალი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

პარტკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და კრებამ მიიღო მომავალი მუშაობის ღონისძიებანი.

დაიწყო არჩევნები.

პირველად კრება გაეცნო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წერილს „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ". შემდეგ დასახელებულ იქნენ პარტკომში ასარჩევნი და დელეგატები რაიპარტკონფერენციისათვის. გადაწყდა—პარტკომში არჩეულ იქნას 5 წევრი, ხოლო რაიპარტკონფერენციისათვის, 10 დელეგატი. პარტკომში ასარჩევად დაასახელეს 56, დელეგატებად 26. თვითეული კანდიდატურის შესახებ პერსონალური მსჯელობის შემდეგ პარტკომში ასარჩევთა სიაში დარჩა 49 კაცი, ხოლო დელეგატთა სიაში 25. შემდეგ არჩეულ იქნა დამთვლელი კომისია 11 კაცის შემადგენლობით. ამით დამთავრდა პარტიული კრების 9 აპრილის მუშაობა.

10 აპრილს ფარული კენჭისყრის შედეგად პარტკომში არჩეულ იქნა 5 წევრი და პარტკონფერენციის 10 დელეგატი.

ვ. მუმლაძე
ვ. ქიქავა

შეცდომა გამოასწორეს

ფოთი, 11 აპრილი (საქდესი). დაიწყო საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო ორგანიზაციის პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო - საარჩევნო კრებები.

გამოდიან რა პარტკომებისა და პარტორგების ანგარიშების ირგვლივ, კომუნისტები გაბედულად ატარებენ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქარცეცხლში პარტიული მუშაობის დეფექტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კომუნისტს როდი აქვს კარგად შეთვისებული საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითება პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ. ყულევის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე მთვლელი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს პარტიის ქალაქკომის ინსტრუქტორი ამხ. მაკალათია, რომელიც ამ ორგანიზაციაში არ ირიცხება.

9 აპრილს კვლავ ჩატარდა საანგარიშო - საარჩევნო კრება, რომელზედაც ყველა კომუნისტს გულდასმით განემარტა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წერილი პარტორგანოთა არჩევნების ორგანიზაციის შესახებ. მეორე კრებამ აქტიურად ჩაიარა, შეცდომა გამოსწორებულ იქნა.

ავამაღლოთ ბოლშევიკური სიფხიზლე

ქუთაისი, 10 აპრილი (საქდესი). პარტორგანოების ანგარიშებმა და არჩევნებმა მძლავრად აამოძრავეს ქუთაისის მთელი პარტიული ორგანიზაცია. საანგარიშო - საარჩევნო კრებები აშკარავებენ პარტკომების, მათი მდივნების, პარტიული ორგანიზატორების პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებს, ამხელენ პოლიტიკურ სიბეცეს, იდიოტურ ავადმყოფობას — უდარდელობას.

ორ დღეს გაგრძელდა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება. დამსწრე 46 კომუნისტიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა. გამოვლინებული იქნა შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის ფაქტები. პარტკომების მდივნებს პარტიის საქალაქო კომიტეტი ნიშნავდა პარტორგანიზაციის დაუკითხავად: მიდიოდნენ რა ფაბრიკიდან, მდივნები არ აბარებდნენ ანგარიშს პარტორგანიზაციას. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტორგანიზაციაში გამოიცვალა 3 მდივანი: სოფრომაძე, ცაგარელი და ბარკალაია. სოფრომაძე გამოდგა უვარგისი მუშაკი, მას არ აინტერესებდა პარტიული მუშაობა და ყველაფერს გულგრილად უცქეროდა. პარტკომის მდივანი ბარკალაია ეწეოდა კინკლაობას, ცაგარელი ტროცკისტი აღმოჩნდა, რომელიც ფაბრიკაში ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას. პარტიული მასა უყურადღებოდ იყო მიტოვებული. კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. პარტკომის მდივანი ბარკალაია ხსნიდა მუშებს, რომლებიც ბედავდნენ მუშაობის გაკრიტიკებას.

პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა მივიწყებული იყო. პროპაგანდისტები ხშირად იცვლებოდნენ, ზოგიერთი პროპაგანდისტი თვეობით არ ცხადდებოდა პოლიტსკოლების მეცადინეობაზე. აგიტატორებად გამოყოფილი იყვნენ შეუმოწმებელი ადამიანები.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომები იყო იმის შედეგი, რომ არ სწარმოებდა ნამდვილი, ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

კრებამ პარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო, დასახა ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად, კომიტეტში აირჩია შემოწმებული ამხანაგები, რომლებიც შესძლებენ უზრუნველჰყონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის მითითებათა ცხოვრებაში გატარება.

ბოლშევიკურად აშკარავებენ ნაკლოვანებებს

ახალციხე, 10 აპრილი (საქდესი). ახალციხის რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

კრებებზე გამოსული კომუნისტები ულმობელად აშკარავებენ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის მითითებათა განსახორციელებლად.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა მიმართულია პოლიტიკურ სიბეცესა, უდარდელობასა და ღოყლაპიობასთან ბრძოლისაკენ.

ახალციხის რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა გამოავლინეს პარტიის წესდების მთელი რიგი დარღვევანი. 1933 წლიდან პარტორგს არ ჩაუბარებია ანგარიში კომუნისტებისათვის. არღვევდნენ წესდებას პარტიაში მიღებისას. პარტიაში მიღებას გამოცდის ხასიათი ეძლეოდა. კომუნისტებს პარტიიდან რიცხავდნენ ისე, რომ მათ დანაშაულს არ იხილავდნენ პარტიულ კრებაზე. პარტორგ თათეოსიანს არაერთხელ გადაუკეთებია თვითნებურად პარტიული კრებების ოქმები.

კრებაზე გამოირკვა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატი ხადილოვი 10 წელიწადია კანდიდატად არის. პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროსაც კი ვერ შეამჩნიეს პარტიის წესდების უხეში დარღვევის ეს აღმაშფოთებელი ფაქტი.

თვითეულ კომუნისტს—მისი კანონიერი უფლება!..

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

სამტრედიის ძაფსაღები ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე,—გვწერს ამხ. ტაბიძე,—კამათში გამოსული კომუნისტები დაურიდებლად ამჟღავნებდნენ პარტიის წესდებისა და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის დარღვევის აღმაშფოთებელ ფაქტებს.

— ჩვენთან ჩახშობილი იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა,—განაცხადა პარტიის წევრმა ამხ. ბ. ხუჭუამ,—აქ კრიტიკას ინტრიგას ეძახდნენ და ვაი მას, ვინც ხელმძღვანელთა მუშაობის ნაკლოვანებათა გაკრიტიკებას გაბედავდა, ვინც გაბედულად ამხილებდა დირექციისა და პარტიული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებს. ერთხელ ჩვენი ქარხნის კედლის გაზეთში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელშიც ქარხნის დირექტორის მუშაობას აკრიტიკებდნენ. პარტკომის მდივანმა ამხ. რუხაძემ ეს პოლიტიკურ სიბეცედ ჩასთვალა, კორესპონდენცია გაზეთიდან ამოსჭრა და სარედაქციო კოლეგიას უსაყვედურა „გაუფრთხილებელი ნაბიჯის" გადადგმა.

აქ კრიტიკისათვის სასტიკად სჯიდნენ ამხანაგებს, ამის დასადასტურებლად კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ჩამოსთვალეს კრიტიკისათვის დევნის მაგალითები, თვითონ ამხ. ხუჭუა კრიტიკისათვის დასაჯეს და სამუშაოზე დააქვეითეს.

კრებაზე აგრეთვე გამოირკვა, რომ პარტკომის მდივანი ამხ. რუხაძე არჩეული არ ყოფილა ძაფსაღები ფაბრიკის პარტორგანიზაციის წევრთა მიერ, არამედ, როგორც წინანდელი მდივნები, კოოპტირებული იყო.

პარტიულმა კრებამ მეტად აქტიურად ჩაიარა. ფარული კენჭისყრით პარტიულ კომიტეტში არჩეულ იქნენ მოწინავე კომუნისტები.

○

მეტად საინტერესო იყო ახალი პარტორგის ზვერიაშვილის „მოვლინების ისტორია". ამხ. ზვერიაშვილს შემთხვევით შეხვდა გურჯაანის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. ტ. დავითაშვილი და გულთბილად მიესალმა. მოიკითხეს ერთმანეთი. ბოლოს რაიკომის ინსტრუქტორმა უთხრა: გაიგე, ამხანაგო ზვერიაშვილო, შენ პარტორგად დაგნიშნეს გურჯაანის ბანკის ორგანიზაციაში.

— გურჯაანის ბანკის პარტორგად! — გაიკვირვა ზვერიაშვილმა. — როდის უნდა დავიწყო მუშაობა?— ხვალვე ჩაიბარე საქმეები. რაიკომში ასე გადაწყვიტეს,—განუცხადა ინსტრუქტორმა.

ინსტრუქტორის შეხვედრის მეორე დღეს ზვერიაშვილი ბანკში გაჩნდა, „ჩაიბარა" პარტორგობა და შეუდგა „ენერგიულ" მუშაობას.

განა ამაზე შორს შეიძლება წავიდეს შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპის უგულებელჰყოფა...

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს დანიშნული პარტორგის მუშაობა, ამხილეს შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის უამრავი ფაქტები და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად შეაფასეს. ხოლო ფარული კენჭისყრის შედეგებმა კიდევ უფრო ნათლად გამოამჟღავნა პარტიული მასის აზრი ძველი პარტორგის ზვერიაშვილის შესახებ; პარტიულმა ამხანაგებმა არ მისცეს ხმა მის კანდიდატურას.

ყოველივე ეს, — გვწერს ამხ. ნ. ზავრაშვილი, — შედეგია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კრიტიკის გაშლისა. ახლა, ფარული კენჭისყრის დროს,—დასძენს ავტორი,—პარტიული მასის მოთხოვნა შეუზღუდავია, ფართოდაა გაშლილი შინაპარტიული დემოკრატია. პარტიის თვითეული წევრი ყოველმხრივ იყენებს თავის კანონიერ უფლებას და პარტიული მასა ხელმძღვანელად ირჩევს მას, ვინც ღირსეულია, ვისაც ავტორიტეტი აქვს და შესწევს უნარი თავდადებულად, ერთგულად და წარმატებით შეასრულოს პარტიული ხელმძღვანელის რთული და საპატიო მოვალეობა.

○

გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ვერ ჩაატარეს საარჩევნო კრება ქუთაისის კავშირგაბმულობის პარტორგანიზაციაში, —გვწერს ამხ. ა. შარვაძე.—საანგარიშო მოხსენების გარშემო კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ლაპარაკობდნენ სამეურნეო საკითხებზე და გვერდს უვლიდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კრიტიკას. ამხანაგებმა ილაპარაკეს რადიომიმღების, სატელეფონო კავშირის მოუწყობლობაზე, რადიოქსელის გაშლაზე, მაგრამ არაფერი სთქვეს პარტორგანიზაციის ნაკლოვანებებზე, არაფერი სთქვეს იმაზე, რომ აქ ადგილი ჰქონდა პარტიის წესდების დარღვევას, შინაპარტიული დემოკრატიის კანონების უგულებელყოფას და პარტიული სწავლების შეუფასებლობას.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე რაც უფრო ფართოდ იქნება გაშლილი ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ღირსეულ, ენერგიულ ადამიანთა არჩევა, უზრუნველყოფილი იქნება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება.

ჰაიასის მთავრობის დეკლარაცია

ტოკიო, 10 აპრილი (საქდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია ჰაიასის მთავრობის მიერ გამოცემული დეკლარაცია „ამომრჩეველთათვის მთავრობის პროგრამის გასაცნობად". როგორც ჩვეულებრივ იაპონიის მთავრობის დეკლარაციები, იმ ღონისძიებათა აღნიშვნასთან ერთად, რომლებიც მიმართული არიან შეიარაღების გადიდებისა და ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაციისაკენ, ეს დეკლარაციაც შეიცავს იაპონიის ფინანსების და ეკონომიკის გაჯანსაღების დაპირებებს. ამასთან ერთად დეკლარაციაში მოიპოვება მსგავს დოკუმენტებში დიდხანს არნახული სააგიტაციო დაპირება „მუშათა კეთილდღეობის" შესახებ. „ნიცი ნიცის" ცნობით, დეკლარაციის ტექსტში აღნიშნულია: „ამას წინათ გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ჰაიასის მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს შემდეგი პროგრამა: 1) განათლების განახლება: განათლებისა და რელიგიურ საქმეთა განახლების სხვადასხვა ზომების კონკრეტიზაცია, სავალდებულო სწავლების განგრძობის ვადის განსაზღვრა, სწავლების სისტემის საერთო შეცვლა და კაბინეტთან სათათბირო ორგანოს შექმნა, რომელიც განაგებს სახელმწიფო წყობილების ყოვლისშემცველ ახსნა-განმარტებას და ნაციონალური სულის აღდგენას. 2) პოლიტიკური ცხოვრების განახლება და ადმინისტრაციის გაუმჯობესება: პარლამენტის სისტემისა და საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება, ადმინისტრატიული ორგანოების რეორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულება ნაციონალური კეთილდღეობის განვითარებასთან. კერძოდ უნდა შეიქმნას ფრენოსნობის ცენტრალური ადმინისტრატიული ორგანო, გადაისინჯოს სამოქალაქო სამსახურის სისტემა და სხვადასხვა ადმინისტრატიულ ორგანოთა რეფორმა. 3) ნაციონალურ მთლიანობაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება. 4) შეიარაღების გაძლიერებისა და ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაციისათვის მზადების განგრძობა 5) დიდი მასშტაბით განზრახული განხორციელება სოციალური პოლიტიკისა ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციის მიზნით: სახალხო ჯანმრთელობის ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესება, სოციალური დაზღვევის [illegible] შემოღება, მუშათა მასების კეთილდღეობისა და ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციისათვის ხელის შეწყობა. 6) მრეწველობის შეთანხმებული განვითარება და ქვეყნის ძლიერების გადიდება: განხორციელება შეთანხმებული ღონისძიებებისა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის თვითმომარაგება ნედლეულით, მაგალითად, თუჯითა და თხევადი საწვავი მასალით, მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარება, წვრილი და საშუალო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრის გადიდება, გაძლიერება კონტროლისა ელექტროენერგეტიკულ მრეწველობაზე, აგრეთვე კავშირგაბმულობისა და ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებათა რეორგანიზაცია და გაფართოება. 7) სასოფლო-სამეურნეო ადგილების გაჯანსაღება: აგრარულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარება, აგრარული დაზღვევის სისტემის შემოღება, სოფლის მეურნეობისა და საზღვაო მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარება. სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეობის სოფლების გაჯანსაღების მიზნით მიღებულ იქნეს ზომები მთელი მოსახლეობის სოლიდარობის იდეის შეთვისებისაკენ. 8) საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია და ღონისძიებანი ფასებისა და საერთაშორისო საგადასახადო ბალანსის მოსაგვარებლად: გათანასწორება ტვირთისა, რომელიც ხალხს აწევს, ცენტრალური და ადგილობრივი საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციისა და რეფორმის ჩატარება იმ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავი წყაროების გადიდების მიზნით, რომლებიც საჭირო არიან ნაციონალური პროგრესისათვის; შესწავლა ღონისძიებებისა სპეკულაციით გამოწვეული ფასების მომატების შესაზღუდავად და სხვა საქონლის მოთხოვნილებისა და მიწოდების საფუძვლიანი მოწესრიგება და, მეორე მხრივ, საერთაშორისო საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფა რესურსებისა საგარეო ვაჭრობის გასაფართოებლად, უცხოეთის ზღვებში ნაოსნობის განსავითარებლად და ემიგრაციის წასახალისებლად".

◇

ნარინჯოვანთა სამუშაოები

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

რაიონები	პლანტაციის გაშენება		სანერგის გაშენება		ნაკელის დამხადება		ციტრუსების შეწამლვა	
	გეგმა ჰექტ.	შესრ. პროც.	გეგმა ჰექტ.	შესრ. პროც.	გეგმა ტონობით	შესრ. პროც.	გეგმა ჰექტ.	შესრ. პროც.
მახარაძე,	208	21,6	54	58,5	8763,5	55,5	406,15	80,2
ლანჩხუთი	114	66,6	39,4	100	6628,5	111	220,3	100
ფოთი	91,5	59,7	22,6	36,3,	4707,9	145,8	191,8	100
ცხაკაია	61	19,6	40,5	42,5	2421,6	82	48,56	100
ხობი	31,5	—	—	—	867,2	74,8	25,77	46,1
აბაშა	15	106,6	—	—	372,7	100	11,36	100
ზუგდიდი	138,5	43,4	56,6	100	4947,6	91,8	116,42	71,5
ჩოხატაური	17	5,8	—	—	339,6	102,3	8,15	48,2
წულუკიძე	—	—	—	—	40,8	100	3,5	100
გეგეჭკორი	18	5,5	1,6	11,1	321,8	100	6,49	100
ჩხოროწყუ	30,5	—	4,5	20	664,4	96,6	14.8	100
წალენჯიხა	15	100	—	—	502,6	99,6	8,8	27,8
სამტრედია	30	73	—	—	72,6	500	3,3	100
აჭარის ასსრ	327	60,2	129,7	71,5	46490,7	92,4	1925	39,2
აფხაზეთის ასსრ	408	37,2	180	66,1	25365,4	92	791,7	66,1
სულ	1500	43,3	529,8	69,1	102416,8	93,4	3781,2	59,2
დამთავრების ვადა		25/IV		25/IV		15/IV		15/IV

○

მახარაძის და ცხაკაიას რაიონების ცნობები 1 აპრილისაა. ტრიფოლიატის თესვის გეგმა შესრულებულია ყველა რაიონში, სულ რესპუბლიკური გეგმა — 144,8 პროცენტით.

◇ ◇ ◇

საჭრაქტორო სამუშაოთა მიმდინარეობა

მიწსახკომის 10 აპრილის ცნობებით

მტს-ბი	საგაზ. ხვნის გეგმის შესრულება პროც-ბით	გადახვნის გეგმის შესრ. პროც-ბით	თესვის გეგმის შესრ. პროც-ბით	ფარცხვის გეგმის შესრ. პროც-ბით
ახალქალაქის	8,5	49,6	1,8	4,5
ბოგდანოვკის	2,8	—	0	—
ახალციხის	59,4	0,9	38,8	28,9
აგარის	81	29,1	103,7	109,8
ოსიაურის	103,8	27,3	35,9	39,7
გორის	55,9	17,4	8,4	48,3
კასპის	136,3	32,5	36,4	16,3
ახალსოფლის	98,6	59,3	19,9	24,2
სტალინირის	81	64	50,8	29,6
წეროვნის	86,2	22,6	40,2	16,1
თბილისის	106,8	127,5	147,5	39,8
დუშეთის	60,4	0	25	5
საგარეჯოს	88,5	14,2	144,9	48,2
ბორჩალოს	141,3	1,6	1,9	45
ლუქსემბურგის	98,5	6,7	0	131,6
ყარაიას	105	14,5	6,5	50,2
გურჯაანის	77,8	—	—	—
კაჭრეთის	110,2	49,3	280	31,7
ულიანოვკის	109,1	37,1	96,9	54
წნორის	97,6	17,2	23,2	100
წითლის	64,6	49,1	89,6	71,3
თელავის	87,3	16,9	—	18,6
ყვარლის	91,4	41,7	30,4	115,3
ლაგოდეხის	136,5	13,3	—	—
ასურეთის	134	57,1	75	40
ბაშკიჩეთის	35,4	14	13,6	0
თიანეთის	32,5	29,5	22	29,5
წალკის	42,7	14,3	2,5	4,7
ქუთაისის	46,9	38,9	0	17
სამტრედიის	68,6	0	0	7,3
წულუკიძის	100,8	70	0	14,2
ვანის	101,2	138,8	0	36,5
ჯულელის	69,2	55	0	0
აბაშის	80,9	33	0	1,4
ცხაკაიას	97,6	31	0,3	8,9
გეგეჭკორის	80,8	33,3	0	0
ზუგდიდის	52,6	84,7	0	—
ხობის	85,7	32,4	0	0
წალენჯიხის	42,4	—	—	0
მახარაძის	86,6	—	0	0,9
ლანჩხუთის	81,8	—	0	—
გალის	64,5	0	0	124,7
ოჩამჩირის	44,7	10,9	0	0
სოხუმის	59,1	26,9	0	37,5
სულ	81,7	30	37,1	49,2
1936 წ. 10 აპრილისათვის იყო	87,6	37,2	32,8	30,2

○

„0" ნიშნავს საჭრაქტორო სამუშაოთა დაუწყებლობას, ხოლო „—" იმას, რომ მტს-ს გეგმა არა აქვს მიცემული.

აპ. ნუცუბიძე

გლეხობის მდგომარეობა გერმანიაში

გერმანიის ფაშისტური მთავრობის „ოთხწლიანი გეგმა", მიღებული 1933 წლის 2 თებერვალს სოფლის მეურნეობის ხაზით, მიზნად ისახავდა „გერმანიის გლეხობის დახმარებას გერმანიისათვის სასურსათო ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად". ჰიტლერმა ფაშისტების ნიურენბერგის „ყრილობაზე" გასული წლის სექტემბერში ეს „გეგმა" ვადაზე ადრე განხორციელებულად გამოაცხადა. მისი თქმით, გერმანიის მშრომელ გლეხთა შორის თითქოს მოისპო გაჭირვება, სილატაკე, თითქოს გლეხობამ მიიღო ყველაფერი ის, რაც ფაშისტებმა მას აღუთქვეს.

სინამდვილე კი სრულებით საწინააღმდეგოს გვეუბნება.

ჰიტლერი ძალაუფლების ხელში აღებისთანავე შეეცადა მიეღო ყოველგვარი ზომები მსხვილი მემამულეებისა და კულაკების განმტკიცების, მათი შემდგომი გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ჰიტლერის პროვოკაციული განცხადება „პროცენტული მონობის მოსპობის" შესახებ გამოხატავდა მსხვილი მემამულეების ინტერესებს და ფაქტიურად მიმართული იყო მათთვის ტვირთის მაქსიმალურად შემსუბუქებისაკენ. მსხვილი მემამულეები და კულაკები განთავისუფლებულ იქნენ თავიანთი დავალიანების 4-5 პროცენტზე ზევით გადახდისაგან. ეს მოასწავებდა პროცენტების სახით გადასახადების შემცირებას 920-დან 600 მილიონ მარკამდე. ჰიტლერმა სავსებით გაათავისუფლა მემამულეები და კულაკები იმ საშიშროებისაგან, რომელიც მათ დავალიანებისათვის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას ემუქრებოდა. სახელმწიფოს მიერ მსხვილი მემამულეებისათვის 100 მილიონი მარკის გაღება დავალიანებას ყოველწლიურად ამცირებდა მთელი მათი ქონების ღირებულების 2-3-მდე და ითვალისწინებდა შემცირებული დავალიანების დაფარვის ახალ წესს 20—50 წლის განმავლობაში, კულაკური მეურნეობები გამოცხადებულ იქნენ მაიორატებად, რომელთა განსხვისება ან განაწილება დაუშვებლად იქნა ცნობილი. ფაშიზმის ბატონობის პირველი ორი წლის განმავლობაში მთავრობის ღონისძიებების მეოხებით მსხვილი მემამულეებისა და კულაკური მეურნეობების მიერ მიღებული მოგება 880 მილიონ მარკას უდრიდა. ეს ციფრი ამჟამად ორჯერ უფრო მეტია.

სულ სხვა მდგომარეობაა წვრილ და საშუალო მწარმოებელთა შორის. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის სოფლის მეურნეობის უზომო დავალიანების გარდა, (12 მილიარდი მარკა) წვრილ და საშუალო გლეხებს უდიდეს ტვირთად აწევება ხელისუფლებისა და ფინანსური კაპიტალის მიერ იმ გადასახადების გადაკისრება, რასაც საგანგებო ღონისძიებათა შედეგად ღებულობენ მსხვილი აგრარიები.

გერმანიის მშრომელი გლეხობის მდგომარეობას ძალიან აუარესებს სოფლის მეურნეობის მომზადება ომისათვის, სახელმწიფოსთვის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების იძულებითი ჩაბარების კონტინგენტი გლეხობას პირდაპირ აღატაკებს. მთელ რიგ პროდუქტებზე—ხორბალზე, ჭვავზე და სხვ. ეს კონტინგენტი ისე მაღალია, რომ ის დიდად აღემატება გლეხური პროდუქტების სასაქონლო რაოდენობას. ამ დანაკლისის დაფარვა გლეხებს უხდებათ საარსებო საშუალებათა მაქსიმალურად შემცირებით.

ფაშისტური მთავრობა მინიმუმამდე ამცირებს სასურსათო პროდუქტების იმპორტს. საიმპორტო სასურსათო პროდუქტების ღირებულება 1928 წლის 4,330 მილ. მარკიდან 1935 წელს შემცირდა 2,500 მილ. მარკამდე. ამჟამად ის გაცილებით უფრო ნაკლებია. მინიმუმამდე შემცირდა ცხიმეულის შემოტანა. ამჟამად გერმანია დიდ სასურსათო კრიზისს განიცდის. სასურსათო სამინისტროს ცნობით მას აკლია სურსათის 20 პროცენტი.

დიდ დაბრკოლებას აქვს ადგილი საკვები პროდუქტების იმპორტის შემცირების შედეგად. მესაქონლეობა, რომელიც გერმანიის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლიან დარგად ითვლება, დეგრადაციის გზაზე დგას, იაფი საკვების უქონლობის გამო მესაქონლეობა შემცირდა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. მსხვილფეხა საქონელი 1934 წლის 19,812 ათასი სულიდან 1936 წელს შემცირდა 18.918 ათას სულამდე. ღორის რაოდენობა შემცირდა ერთი მილიონი სულით, შინაური ფრინველები — ორი მილიონი ფრთით და სხვ. ამ გარემოებამ შეამცირა მესაქონლეობის პროდუქტები. ხორცის რესურსები შემოტანილთან ერთად შემცირდა 1.737 ათასი ორმოცი ცენტნერით.

წვრილ და საშუალო მწარმოებლებს მესაქონლეობის დეგრადაციის შედეგად ხელიდან გამოეცალათ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო, პროდუქტების ის ნაწილიც, რომელსაც მესაქონლეობიდან წვრილი და საშუალო გლეხობა ღებულობს სოფლის მეურნეობის „რეგულირების" შედეგად, დაბალი მტკიცე ფასების დაწესებით ხელში უვარდებათ მონოპოლისტურ საგამსაღებლო ორგანიზაციებს და ფინანსურ კაპიტალს.

გლეხთა აშკარა გაჭირვებული მდგომარეობის მაჩვენებელს წარმოადგენს აგრეთვე მათი მეურნეობების და ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შემთხვევათა ზრდა. ფაშისტების ნიურენბერგის „ყრილობაზე" ჰიტლერმა პროვოკაციულად განაცხადა, რომ გლეხთა მეურნეობების იძულებითი წესით გაყიდვა დამთავრდაო. რას გვეუბნება სინამდვილე? ჟურნალ „ვირტშაფტ უნდ სტატისტიკ"-ის ცნობით, საჯარო ვაჭრობით გაყიდული მიწის ფართობი 1935 წელს შეადგენდა 31.445 ჰექტარს 1934 წ. 28.462 ჰექტარის ნაცვლად, მეურნეობათა იძულებითი გაყიდვის რაოდენობა იმავე წლებისათვის 1.518-დან გაიზარდა 2.270-მდე, 1936 წელს მეურნეობათა იძულებითი გაყიდვის რაოდენობამ კიდევ უფრო იმატა.

რას მოასწავებს გლეხურ მეურნეობათა საჯარო ვაჭრობით გაყიდვა? ეს მოასწავებს ამ მეურნეობათა წართმევას მათი წინანდელ მეპატრონეებისათვის და გადაცემას ახალ მესაკუთრეთა ხელში. წინანდელი მესაკუთრენი ადგილიდან იყრებიან და ღატაკდებიან. მეურნეობათა ყოველი იძულებითი წესით გაყიდვა მოწმობს გლეხობის გაძლიერებული პროლეტარიზაციის მაჩვენებელს. ჰიტლერი კი ამას უწოდებს გაჭირვების „მოსპობას" გერმანიის სოფელში!

მშრომელი მასების სიმშილი ფაშისტურ გერმანიაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ფაშიზმის ბელადების განცხადებით მთავარ ლოზუნგს უნდა წარმოადგენდეს არა პური, კარაქი, და სხვ. არამედ ზარბაზანი. ჰიტლერის მოადგილემ ჰესმა თავის სიტყვაში, რომელიც მან ამას წინათ ქალაქ ჰოფში (ბავარია) წარმოსთქვა აშკარად აღნიშნა: „ჩვენი ლოზუნგი—ზარბაზნები კარაქის ნაცვლად, კვლავ სავსებით ძალაშიაო". ჰესი განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდა დიასახლისთა ამოცანებზე, მათ თითქოს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ სასურსათო კრიზისის შემსუბუქების საქმეში. ჰესი მოუწოდებდა დიასახლისებს—აბა თქვენ იცით თუ არ გაამწვავებთ მდგომარეობას და გემრიელ საჭმელებს დაუმზადებთ თქვენს ქმრებსა და ოჯახებს ისე, რომ არ იხმაროთ კარაქი, ღორის ქონი, კვერცხი, ხორცი და სხვაო.

იმისათვის, რომ შეამცირონ კვება, ფაშისტები ცდილობენ „მეცნიერულად" დაამტკიცონ, რომ ხორცი, კარაქი, ცხიმეული მავნებელიაო. ფაშისტი პროფესორი რეიტერი პროფესორების, ექიმების და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენელების თათბირზე ამტკიცებდა, ხორცი და გაჴმენდილი პური „ჯანმრთელობისათვის მავნებელიაო" და ურჩევდა მოსახლეობას იხმარა ცხიმეულის ნაცვლად ისეთი პროდუქტები, რომლებიც ნახშირწყალს შეიცავენ.

„მესამე იმპერიის" „სწავლული" ეკონომისტი ფრინც ნონენბრუხი იძლევა ასეთ დარიგებას: „გერმანიის ხალხი მზად უნდა იყოს შეამციროს თავისი მოთხოვნილება სურსათზე—ასეთია ფაქტი, რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთო". რა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ შევამციროთ მოთხოვნილება სურსათზე?—კითხულობს ის და უპასუხებს: მუშათა და საერთოდ მშრომელთა ხელფასის და შემოსავლის შემცირებაო. „წარმოიდგინეთ, რა მოთხოვნილება იქნებოდა კარაქზე, ხორცზე, პურზე და სხვა პროდუქტებზე—ამბობს ის,—რომ თვითეული მშრომელი ღებულობდეს თვეში შემოსავალს 200 მარკასო". „ჩვენში კიდევ არიან ადამიანები—აცხადებს ფაშისტური გაზეთი „ანგრიფი"—რომელთაც კვირადღეობით სურთ კარგადა სჭამონ... ახლა ამ ტრადიციაზე ხელი უნდა ავიღოთ. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ჩვენი წინაპრები ბევრს არ სჭამდნენ, როგორც ჩვენ, მაგრამ ჩვენზე უფრო ჯანმრთელი იყვნენ და მეტი ბავშვები ჰყავდათ... არის, რა თქმა უნდა, ქვეყნები, როგორც მაგალითად, ჰოლანდია, სადაც საუზმეზე აქვთ კარაქი, ყველი, ძეხვი, მარმალადი და სხვ. ეს იმით აიხსნება, რომ იქ არ იციან, რა უყონ პროდუქტებს, ასეთი რამე ჩვენთვის დამღუპველიაო". გლეხობა წარმოადგენს „მიწის ჯარისკაცთა" არმიას, რომელიც მზად უნდა იყოს ყოველი გაჭირვება აიტანოს გერმანიის რასის ინტერესებისათვისო".

ნაკლები ჭამა, შიმშილის რაც შეიძლება ხანგრძლივად ატანა—აი რა მოთხოვნას უყენებენ ფაშისტები მშრომელ მოსახლეობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

გერმანიის სოფელში ფართოდ მოიდგა ფეხი მრავალმა ისეთმა ავადმყოფობამ, რომელიც გამოწვეულია მოსახლეობის შიმშილით. ამით აიხსნება ისიც, რომ გერმანიის სოფელში ძლიერ გავრცელებულია სიკვდილიანობა, 1935 წელს სიკვდილიანობა 10 %-ით მეტი იყო 1932 წ. შედარებით.

მშრომელ მოსახლეობაში ძლიერ გავრცელდა თვითმკვლელობის შემთხვევები. ერთმა გერმანელმა მოქალაქემ, რომელმაც დანით გამოიჭრა ყელი, სიკვდილის წინ მოასწრო დაეწერა თავისივე სისხლით შემდეგი შინაარსის ბარათი; „ჰიტლერს ხორცი აკლია, გადაეცით ჩემი ხორცი ჰიტლერს".

გერმანიის გლეხობა საკუთარი გამოცდილებით რწმუნდება იმაში, თუ ვისთან აქვს საქმე. გერმანიის გლეხობა ხედავს, რომ ფაშიზმის სახით საქმე აქვს შიმშილთან, ავადმყოფობასთან, მთელ რიგ ოლქებში გლეხობა აქტიურად გამოდის ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ რამდენიმე ხნის წინათ რეინის და საარის ოლქებში ადგილი ჰქონდა გლეხთა დიდ მღელვარებას, რომელიც მიმართული იყო ფაშიზმის ბატონობის წინააღმდეგ. ტრირში და კობლენცში ქალაქის მშრომელთა გამართულ დემონსტრაციებს ფაშიზმის წინააღმდეგ შეუერთდნენ გლეხებიც. პლაკატებზე, რომლებიც საიდუმლოდ იკვრებოდა ქუჩებში, ეწერა: **„ძირს ჰიტლერი— ჩვენ გვინდა პური".**

ასეთია ის ჯოჯოხეთური სურათი. რომელსაც გვიჩვენებს ფაშიზმის სისხლიანი დიქტატურის ბატონობა გერმანიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული გაფრთხილება

(კასპი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

კასპის რაიონში შაქრის ჭარხალი წელს 1.300 ჰექტარზე ითესება. ჭარხლის მოსავლიანობამ ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერს უნდა მიაღწიოს.

ეს სერიოზული ვალდებულებაა და იგი მოითხოვს აგროტექნიკურ ღონისძიებათა მაქსიმალურად გატარებას, დაწყებული ჭარხლის თესვიდან და გათავებული ჭარხლის მიმღებ პუნქტამდე მიტანით.

რაიონმა წელს ჭარხლის მაღალი მოსავლის მისაღებად დიდი მუშაობა გასწია. საჭარხლე ფართობები მოხნულია 27 სანტიმეტრის სიღრმეზე. გეგმით გათვალისწინებული 55.000 ურემი პატივის ნაცვლად შეგროვილია 57.340. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი რიგზე იყოს.

ჭარხლის თესვა ზლაზვნით მიდის. 8 აპრილისათვის 1.300 ჰექტარიდან დათესილი იყო მხოლოდ 500. თესვა კი 10 აპრილისათვის უნდა დამთავრებულიყო.

ორი თვის წინათ კასპის რაიონის მეჭარხლე კოლმეურნეთა შეკრებაზე რაიონის კოლმეურნეობებმა, ბრიგადის და რგოლის ხელმძღვანელებმა აიღეს ვალდებულება ჰექტარზე საშუალოდ მიეღოთ 500-800 ცენტნერი ჭარხალი. მაგრამ ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის მთელ რიგ კოლმეურნეობებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. არ გაუტარებიათ ყველა ღონისძიებანი, რაც აუცილებელი იყო ვალდებულების განაღდებისათვის.

იგოეთის კოლმეურნეობას, რომელმაც იკისრა სახელმწიფოსათვის ჰექტარიდან საშუალოდ 600 ცენტნერი შაქრის ჭარხლის ჩაბარება, 20 ჰექტარიდან ჯერ კიდევ დაუთესავი აქვს 16. თვითეულ ჰექტარზე უნდა გაეტანათ 50 ურემი საქონლის გადამწვარი პატივი, ნამდვილად გატანილია 25.

კასპის კოლმეურნეობას, რომელსაც ასეთივე დიდი ვალდებულება აქვს ნაკისრი, 2.000 ურემი ნაკელის ნაცვლად გატანილი აქვს 1.600, საკმაოდ არა აქვთ პატივი შეგროვებული ქვემორენეს, ზემორენეს და კოდისწყაროს კოლმეურნეობებს.

რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებს სრულებით არა აქვთ შეგროვილი ნაკელის წვენი. აქა-იქ არის უხარისხოდ თესვის შემთხვევები. ახალციხის კოლმეურნეობაში 5 აპრილს თესლი ხნულის ზედაპირზე რჩებოდა, ხოლო თესვის შემდეგ სატკეპნს არ ატარებდნენ.

არ შეიძლება, რომ ჭარხლის თესვაში რაიონის ჩამორჩენა მხოლოდ უამინდობას დავაბრალოთ. კასპის მტს (დირექტორი ამხ. გურგენიძე) კოლმეურნეობებს ოპერატიულ მომსახურებას ვერ უწევს. ხშირია მანქანების გაჩერება. იგოეთის კოლმეურნეობაში „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორები თითქმის ერთი თვეა უმოქმედოდ დგანან. 5 აპრილს ლამისყანის, წინარეხის და ქვემოხანდაკის კოლმეურნეობებში ტრაქტორები შეფერხებებით მუშაობდნენ. სათესი მანქანები ყველგან არ არის გამართული. რგვალიჭალის კოლმეურნეობაში სათესი ცუდად აბნევდა ნიადაგში თესლს, ხოლო სანამ ახალ სათესს მოიტანდნენ, გამწევი ძალა მოსცდა.

მტს-მა 1 თვის წინ დაბეჭდა ბროშურა შაქრის ჭარხლის მოვლა-დამუშავების ღონისძიებათა შესახებ, მაგრამ აღნიშნული ბროშურა სტამბის კარებს ჯერ არ გასცილებია.

აღსანიშნავია ზოგიერთი კოლმეურნეობის უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი თვითნებობა ჭარხლის თესვაში. ზარდიანთკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზარდიაშვილმა „უნივერსალის“ მარკის ორი ტრაქტორი 2 აპრილს თვითნებურად გადაიყვანა საქერე ფართობის ხვნაზე, რომელიც სტზ სისტემის ტრაქტორით უნდა მოხნულიყო. ამავე დროს ჭარხალი დაუთესავი დასტოვა.

დრო არ ითმენს! საათები და წუთები სწყვეტენ ჭარხლის მაღალი მოსავლის საკითხს.

შ. წიქორია.

◇ ◇ ◇

საკოლმეურნეო დემოკრატიის უხეში დარღვევანი

ბორჩალო, 3 აპრილი (საქდენი). ბორჩალოს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს დღემდის არ მიუღიათ ამ ფულის ნაწილი, რომელიც მათ ეკუთვნით შრომადღეებით 1936 წლისათვის. ასეთი მდგომარეობა მთელ რიგ შემთხვევებში იყო რაიმიწგანის მხრით საკოლმეურნეო უფლებათა და საკოლმეურნეო დემოკრატიის უაღრესად უხეშ დარღვევათა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა შედეგი.

ჯერ კიდევ 1936 წლის მარტში რაიმიწგანის გამგემ ამხ. სიმონიანმა რაიმიწგანის სახელით კოლმეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალისაგან“ (სოფელი მარნეული) „4 დღით ისესხა“ 4,500 მანეთი — კოლმეურნეობის ფული. დღემდის ამ თანხიდან კოლმეურნეობას არ დაუბრუნეს 3.000 მანეთამდე. ამავე გზით რაიმიწგანმა კოლმეურნეობა „ფორვერტსში“ (სოფელი ტრაუბენბერგი) „ისესხა“ 5.500 მანეთი, კოლმეურნეობა „ზარბახში“ (სოფელი დ. მუღანლო)—4.000 მან., მუსაბეკოვის სახ. კოლმეურნეობაში (სოფ. სეიდ ყოჯალო)—2.900 მან. და ა. შ. ეს სახსრები აღარ განაწილებულა შრომადღეების მიხედვით.

რაიმიწგანმა დაარღვია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-10 მუხლი. კოლმეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალიდან“ საკუთარი სურვილით გასულ კოლმეურნე ჭუმბურიძეს რაიმიწგანის დაჟინებითი მოთხოვნით წლის შუა ხანში მისცეს განსაზოგადოებული ქონება და შესასვლელი ფულადი შენატანი.

საკოლმეურნეო უფლებანი დაარღვია აგრეთვე რაიონული სამომხმარებლო კავშირის გამგემ ამხ. ბეჟანოვმა, რომელიც აღიჭურვა რა რაიმიწგანის მიმართვით, კოლმეურნეობასთან შეუთანხმებლად და მის დაუკითხავად აშენებს საყინულეს საკოლმეურნეო ბაღში, სანდარის სიდგურთან. მისი განკარგულებით ამ მიზნით დაანგრიეს კოლმეურნეობის ფარდული და მოსჭრეს რამდენიმე ხეხილი.

საკოლმეურნეო დემოკრატიის ამ დაუშვებელ დარღვევებში, რაიმიწგანისა და რაისამომხმარებლო კავშირის ხელმძღვანელებს გარდა, დანაშაული მიუძღვით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსაც, რომლებიც თვითნებურად იყენებდნენ საკოლმეურნეო სახსრებს და ვერ იცავდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს.

რა აკლია ბორჯომს

მომავალი სეზონისათვის მზადება ბორჯომში დაგვიანებით დაიწყეს. მზადების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად სრულდება. სასტუმროსა და მეორე სანატორიუმს შორის გზის გუდრონირება არ დაუწყიათ, ძალიან დაჭიმული მუშაობაა საჭირო, რომ სეზონისათვის დაამთავრონ. აუჩქარებლად მიმდინარეობს ოქტომბრის რევოლუციის პარკის კეთილმოწყობა. აქ ბაღის ირგვლივ საბრჯენ კედელს აგებენ, ბაღის შესასვლელსა და გასასვლელში სვეტებსა სდგამენ, პარიზის კომუნის ქუჩიდან მონუმენტურ კიბეს მართავენ, მაგრამ მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. საეჭვოა, სეზონისათვის მოესწროს ამ სამუშაოთა დამთავრება.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე მდინარე ბორჯომულაზე ხიდების შეკეთება-გამშვენება. მასალა არის, მაგრამ მუშაობის დაწყებას არ ჩქარობენ. ბორჯომის ქუჩების მეტი წილი კეთილმოუწყობელია და უყურადღებოდ არის მიტოვებული. ახლა განზრახულია სტალინის, ორჯონიკიძისა და რუსთაველის ქუჩების გამშვენება-კეთილმოწყობა, მაგრამ, როგორც დანარჩენ ობიექტებზე, ისე აქაც სიჩქარე არ ეტყობათ.

მომავალი სეზონისათვის 900 ათას მანეთამდე უნდა მოხმარდეს კურორტის კეთილმოწყობას. ეს არც ისე პატარა თანხაა, მისი რაციონალურად, გეგმიანად და მომჭირნეობით გამოყენება ბორჯომს ბევრ რამეს შეჰმატებს.

სეზონის უნაკლოდ ჩატარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მუდმივ სამედიცინო და სამეურნეო კადრებს ენიჭება. დღემდე ჩვენი კურორტების დიდი ნაკლი ის იყო, რომ მომსახურებელ პერსონალს სახელდახელოდ აგროვებდნენ. ამ კადრების მეტი წილი საქმით არ იყო დაინტერესებული, კურორტებზე დასვენება უფრო ეინტერესებოდათ, ვიდრე მუშაობა.

ბორჯომის საკურორტო სამმართველომ ეს ნაკლი მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა—ზოგიერთი მუშაკი კურორტს მიამაგრა, მათთან ხელშეკრულება დასდო. ეს არ არის საკმარისი.

ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია ბორჯომს სრული კეთილმოწყობისათვის. პირველ რიგში აუცილებელია კლინიკური სანატორიუმის აგება. ეს იმიტომ, რომ ბორჯომი სანატორიული საწოლების მოთხოვნილების 40 პროცენტსაც ვერ აკმაყოფილებს. გარდა ამისა, არსებული სანატორიუმების შენობები წინასწარ არ ყოფილა საამისოდ გათვალისწინებული. ეს აძნელებს მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ ხუთიოდე წლის წინათ მინერალური წყლების ბაღში გალერეა ააგეს. ეს შენობა უმსგავსოდ გამოიყურება, მიდამოსაც აუშნოვებს, ავდარში სიმფონიური კონცერტებისა და სხვა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა გასატარებლადაც არ გამოდგება. საჭიროა ახალი გალერეის აგება.

ბორჯომს დღემდე არა აქვს კანალიზაცია. ეს გარემოება აძნელებს რიგიანი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნას.

ბორჯომულა მთის გიჟმაჟი მდინარეა. სწრაფად ადიდება იცის და წალეკას უქადის სანატორიუმის შენობებს, ჰიდრო-ელსადგურს, მინერალური წყლების პარკს და სანაპირო ქუჩებს. გარდა ამისა, პრიმიტიულ პირობებში დარჩენილი ბორჯომულას კალაპოტი ულაზათოდ გამოიყურება. საჭიროა მისი ნაპირების გამაგრება. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სათანადოდ გავაფორმოთ და გავამშვენოთ კურორტის ცენტრიც.

ბორჯომსა და მისი ზონის კურორტებზე (წაღვერი, ცემი, ბაკურიანი) ზაფხულობით უთვალავი ხალხი იყრის თავს. აქ მოსულ დამსვენებელთ რომ საუკეთესო კულტურული მომსახურება და გართობა უნდათ, ეს ყველამ უნდა იცოდეს. მიუხედავად ამისა, საკურორტო სამმართველომ დღემდე ვერ შესძლო ამ კურორტებზე საზაფხულო კინოთეატრების შენობათა აგება.

საკურორტო სამმართველომ მეტი ენერგია, მონდომება და უნარი უნდა გამოიჩინოს. ამხ. ლ. ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ „საქართველო უნდა გადაიქცეს სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერად“, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს საკურორტო და პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციებს. „რადგან საკურორტო მშენებლობას მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ვახდენთ მის გარშემო მთელი ჩვენი პარტიისა და საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციას“. ამას ამბობდა ამხ. ლ. ბერია საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობაზე. ეს მითითება სავსებით უნდა განახორციელონ საკურორტო სამმართველომ და ბორჯომის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ.

შ. ჯიქია

◇

რ ა ი ო ნ ე ბ შ ი

მეურნეობა უდოტაციოთ მუშაობს

ყარაიას რაიაღმასკომის ამხ. ლ. ბერიას სახელობის ხილბოსტნეულისა და სანერგის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. ერისთავი) უდოტაციოდ მუშაობაზე გადავიდა. წელს ეს მეურნეობა თბილისის ბაზარს მიაწვდის სათბურიდან გამოყვანილ 150.000 ცალ კიტრს, 1.500 ათას ძირ ბოსტნეულის ჩითილს, 1.350 ტონა საადრეო ბოსტნეულს და 100 ტონა წნილს.

საბჭოთა მეურნეობას აქვს ხეხილის სანერგე, საიდანაც წელს მიღებული იქნება 100.000 ძირი ვაშლის, მსხლის, ნუშის და ბალის ნერგი, სანერგეში გამოყვანილი იქნება აგრეთვე რამდენიმე ათეული ათასი ძირი დეკორატიული მცენარეების, ალვასხისა და ვაზის ნერგი.

ყველა სახის საგაზაფხულო სამუშაოები ვადაზე და ხარისხოვნად სრულდება. წელს მეურნეობამ 250.000 მანეთი მოგება უნდა მისცეს სახელმწიფოს.

ი. რაჭ-შვილი

მესაქონლეობის არტელი

წალენჯიხის რაიონის მეჯოგეებს პირუტყვი საძოვრად ყუბანში ჰყავთ გარეკილი. რამდენიმე წლის წინათ იქ ჩამოყალიბდა მესაქონლეობის სას.-სამ. არტელი, რომელშიაც 186 მეჯოგე გაერთიანდა. არტელს ამჟამად ჰყავს 5.149 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 5.139 ცხვარი, 2261 თხა და 408 ცხენი.

შარშან არტელმა 1297 ხბო გაზარდა, ბატკნის გაზრდის გეგმა 122 პროცენტით შეასრულა, ციკნებისა — 137-ით, კვიცების — 102-ით.

კოლმეურნეობის შემოსავალმა 1936 წელს 1.041.000 მანეთს მიაღწია. ხოლო კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე 15 მანეთი ერგოთ. კოლმეურნე ვალიკო არქანიამ შარშან შრომადღეებზე 10.044 მანეთი მიიღო, აკაკი ქარდავამ—7.030, ფილიპე ხარაიამ — 8.262 მანეთი.

ამჟამად კოლმეურნეობაში დიდი მუშაობა სწარმოებს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. შეიძინეს ინგლისური ჯიშის 2 ულაყი, შვიცის ჯიშის 20 ბუღა-მწარმოებელი და რამბულიეს ჯიშის 200 ყოჩი.

ვალ. ზარქუა.

აკლია ვაზის ლერწი

გურჯაანის რაიონში წელს 3.400 ათასი ცალი ვაზი უნდა დაიმყნას. რაიონს მიწსახკომისაგან მისაღები აქვს 1.500 ათასი ცალი ლერწი. მყნობა უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს, ლერწი კი ჯერაც არ არის მიღებული.

თუ ლერწის მიღება არ დაჩქარდა, მყნობის გეგმა ჩაიშლება.

ნ. ზავრაშვილი

აგრ. მ. რამიშვილი

ოჯალეში სამეგრელოში

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს 1936 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით, 1940 წლის დამლევისათვის სამეგრელოში ვენახი უნდა გაშენდეს 1.690 ჰექტარზე. აქედან: ცხაკაიას რაიონში 300 ჰექტ., გეგეჭკორისაში — 350, ზუგდიდისაში — 400 ჰექტ., წალენჯიხისაში — 300 ჰექტ., ჩხოროწყუში — 340 ჰექტ. ამ დავალების შესასრულებლად გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. მიწსახკომის მევენახეობის სამმართველოსთან მოწყობილმა კომისიამ შეიმუშავა ვაზის ჯიშთა გასაშენებელი ასორტიმენტი სამეგრელოს რაიონში. კომისიის დასკვნით, წალენჯიხის რაიონის (სოფ. ფუქი, ნაკიფუ, ობუჯი, ჯაგრა, ჯგალი) ფერდობებზე განსაკუთრებით კარგია თეთრი სუფრის ღვინის ჯიშების და სუფრის ყურძნის ჯიშების გაშენება ასორტიმენტად მიღებულია: ქვიტილური, ცოლიკოური, ჩეში, ჩეჭიბეში, ოჯალეში.

ზუგდიდის რაიონის კარბონატულ ფერდობებზე და ქვეთიხნარ ნიადაგებზე (სოფ. ყულისკარი, ალავერდისკარი, კორცხელი, ჭკადუაში) უნდა გაშენდეს სუფრის ღვინისა და საკონიაკე ჯიშები. ძირითად ჯიშებად შერჩეულია: ცოლიკოური, ქვიტილური, ოჯალეში, იზაბელა.

ჩხოროწყუს რაიონის ფერდობებზე (სოფ. ჩხოროწყუ, ახუთი, მუხური) გაშენდება თეთრი ხარისხოვანი სუფრის ღვინისა და საკონიაკე ჯიშები. აქ შერჩეულია ქვიტილური, ცოლიკოური, ოჯალეში.

ცხაკაიას რაიონში, ძველი სენაკიდან უშაფათამდე, მდ. აბაშის და ტეხურის ხეობებში უნდა გაშენდეს თეთრი და წითელი სუფრის ღვინის ჯიშები, კონიაკისა და ნაწილობრივ სუფრის ყურძნის ჯიშები: ქვიტილური, ოჯალეში, ჩეში, ჩეჭიბეში.

გეგეჭკორის რაიონის კარბონატულ ნიადაგებზე (გეგეჭკორიდან სალხინომდე) გაშენდება ხარისხოვანი სუფრის ღვინისა და საკონიაკე ჯიშები. აქ გამოდგება ოჯალეშის ქვიტილურის და ცოლიკოურის ჯიშები.

სამეგრელოში მევენახეობა - მეღვინეობა ძველთაგანვე ცნობილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთიანი სამეგრელო, სადაც წარსულში ადგილობრივი ჯიშის ვაზები (ოჯალეში, ქვიტილური, გოდაათური, პანეში, ავშილური), უმთავრესად მაღლარი უხვ მოსავალსა და კარგი ხარისხის ღვინოს იძლეოდნენ, მაგრამ სოკოვანმა ავადმყოფობამ და ფილოქსერამ მუსრი გაავლო ადგილობრივი ჯიშის ვაზებს.

ამერიკული ჯიშის იზაბელას (ადესა) და შემდეგ იმერული ჯიშების გავრცელებამ ადგილობრივ მოსახლეობას ხელი აალებინა მკვიდრი ვაზის ჯიშების აღდგენაზე.

ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს შეგუებული მკვიდრი ვაზის ჯიშები დიდ განძს წარმოადგენენ მევენახეობაში და მათი მოშენება დაბლარად ფილოქსერის გამძლე საძირეებზე დადებით შედეგებს მოგვცემს.

სამეგრელოში მკვიდრი ვაზის ჯიშები სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე 60-მდე მოიპოვებოდა, ზოგიერთი ჯიში მაშინაც სახელმოხვეჭილი იყო გლეხობაში და დღესაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ადგილობრივ შესწავლა ამპელოგრაფიულ მეთოდით (ჯიშთა აღწერა) დაგროვილი მასალა გვიჩვენებს, რომ ოჯალეშის ჯიში და ზოგიერთი სხვა ადგილობრივიც დიდი ყურადღების ღირსია.

სამეგრელოს ზოგ რაიონში ოჯალეშს შონურს ეძახიან. შავი ფერისაა, ღვინის ჯიშია. ოჯალეშს აქვს საშუალო სიდიდის საკმაოდ სქელი და განივოვალური მოყვანილობის ფოთლები. დამწიფებას იწყებს სექტემბრის პირველი ნახევრიდან. სრულ სიმწიფეში შედის 10-15 ნოემბრიდან. მას ახასიათებს ფრთისებურად გაშლილი საშუალო სიმკვრივის ან თხელი მტევნები.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დაუჭკნობლად იანვრამდე სძლებს, ხოლო მოკრეფილი — გაზაფხულამდე ინახება.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე ეს ჯიში მასობრივად გავრცელებული იყო ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების ზეგან ადგილებში მაღლარის სახით. ადგილობრივი მოსახლეობა ოჯალეშს დიდი ქებით იხსენიებს და წითელ ღვინოებს შორის პირველ ადგილს უთმობს.

ოჯალეშის აღდგენას ამ 4-5 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოში. იქ წმინდა მეგრული ოჯალეშის ჯიში გააშენეს ოთხ ჰექტარამდე.

როგორც მეტად ძვირფასი პროდუქციის მომცემი ღვინის ჯიში, ოჯალეში განახლებულ უნდა იქნას და მასობრივად გავრცელდეს მთიან სამეგრელოს ზეგან ფერდობ ადგილებში. სამეგრელოს ზემო რაიონებში ვაზის წითელ ჯიშებს შორის იგი ძირითად წამყვან ჯიშად უნდა გადაიქცეს. ოჯალეშის აღდგენისა და მისი მასობრივად გავრცელებისათვის, აუცილებლად საჭიროა სანამყენე მასალა ავიღოთ დაკვირვებით, წმინდა ტიპიური ოჯალეშის ჯიშისაგან, რომელიც ამჟამად ნამყენების სახით არის სალხინოში, ან მაღლარი შონური ვაზისაგან, რომლის თითო-ოროლა ძირს მთიან სამეგრელოს ზეგან ადგილებში ვხვდებით.

მაღლარის სახით არსებული ოჯალეში სიბერისა და მოუვლელობის გამო თითქმის დაღუპვის გზაზეა დამდგარი, ამიტომ მისი რქები სუსტად ვითარდება და თანაც სათანადოდ ვერ მწიფდება. ასეთი ვაზისაგან საკვირტე მასალის აღება სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

ადგილობრივმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ სანამყენე მასალის შერჩევისათვის. პასპორტიზაციის შედეგად აღრიცხული ოჯალეშის ვაზებს ირგვლივ მიწა უნდა შემოებაროს, ისინი უნდა გაპატივდეს და გაისხლას. ამასთანავე მაღლარი ვაზები უნდა დაუშვათ უფრო დაბლა, რომ გაადვილდეს მათი მოვლა ვეგეტაციის პერიოდში.

საჭიროა აგრეთვე მობერებული ვაზების გადაწვენა გაახალგაზრდავების მიზნით. გადაწვენით შედარებით მოკლე ხანში მიიღება მეტი და კარგი საკვირტე მასალა.

დადაბლარებულ ვაზებს ზაფხულში უნდა ვუწამლოთ ნაცრისა და ჭრაქის წინააღმდეგ, გავფურჩქნოთ წავაჭრათ წვერები.

საძირეების შერჩევის საკითხი ადგილობრივი ნიადაგებისათვის და კერძოდ ოჯალეშისათვის საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, სას.-სამ. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრამ აფინიტეტის (შეხორცების უნარიანობა) ხაზით პირველი ცდა მოახდინა ოჯალეშის ოთხ საძირეზე. ამ ცდების მასალებიდან ირკვევა, რომ რიპარია რუპესტრის ჰიბრიდებს კარგად უხორცდება ოჯალეში. საჭირო იქნება ამ მეტად მნიშვნელოვანი ცდების განმეორება და საფუძვლიანი ანალიზების წარმოებით ოჯალეშისათვის ვარგისი საძირეების გამოვლინება.

მყნობისას აუცილებელია ცალკე სამუშაოთა ზუსტი მეთვალყურეობა. საჭიროა ოჯალეშის საკვირტე მასალის უდანაკარგოდ გამოყენება. მთელი სამუშაოები — მყნობით დაწყებული და ნამყენის სანერგეში მოთავსებითა და მოვლა-პატრონობით გათავებული განსაზღვრულ პირებს უნდა მიენდოს.

სამეგრელოში ოჯალეშის ჯიშის გარდა, კიდევ რამდენიმე მეტად საინტერესო ჯიში მოიპოვება. მაგალითად: ქვიტილური — თეთრი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ღვინის ჯიში; გოდაათური — თეთრი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიში; ჩერგვალი — თეთრი, სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში; ავშილური — შავი, საღვინე ჯიში; პანეში — შავი, საღვინე ჯიში. ამ ჯიშების აღდგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ისინი უნდა მოვამრავლოთ მთიან რაიონებში ნამყენების სახით ფილოქსერის გამძლე საძირეებზე. სამეგრელოში ორ ადგილას მაინც (სალხინოსა და წალენჯიხის ხეობაში) საჭიროა მოეწყოს მეგრული ვაზის ჯიშთა გამოსაცდელი ნაკვეთები, სადაც თავი უნდა მოეყაროს სამეგრელოს ყველა მკვიდრ ვაზის ჯიშს.

◆

ვლადიმერ მაიაკოვსკი
(7 წელი გარდაცვალებიდან)

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი

სიმონ ჩიქოვანი

ბლოკი და მაიაკოვსკი წარმოადგენენ რევოლუციის წინა პერიოდის უდიდეს პოეტურ ფიგურებს. პირველმა სიმბოლისტური სკოლის ყველა შესაძლებლობანი ამოსწურა და ჯერ კიდევ „Возмездие“-ში მოგვცა მეოცე საუკუნის ახალგაზრდა კაცის ისტორია. ხოლო ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ჩამოაყალიბა 14-15 წელში მებრძოლი პოეტური ფორმები და შექმნა პოეტის ახალი ტიპი.

ერთი მკვლევარი სწერს, რომ თუ სიმბოლისტები ლექსებს უკითხავდნენ ისევ პოეტებს და პოეტების მახლობლებს, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ როგორც ტრიბუნმა თავის ლექსებით პირდაპირ მიმართა ხალხსო.

პირველ პერიოდში პოეტი შეეცადა პოეტური ენისათვის დაებრუნებია მრავალფეროვნობა, დაეკავშირებინა იგი ხალხის ცოცხალ ენასთან და ცოცხალი ინტონაცია შეეტანა პოეტურ მეტყველებაში. ამით მან გადაარჩინა რუსული ლექსი დეკადენტების მიერ გადაგვარებულ მელოდიას და რუსულ პოეზიაში შეუშვა ნამდვილი ხალხური ნაკადი. ამიტომაც მან შესძლო ხალხური პოეტური ენით ელაპარაკა ყოველდღიურ საკითხებზე და ახალი ადამიანი გაეხადა პოეზიის ორგანიულ თემად. ჯერ კიდევ ბრიუსოვი სწერდა, რომ ბელი და ივანოვი ცდილობდნენ პოეზია შესწირონ რელიგიას. მაიაკოვსკის პოეზია — კი ნამდვილი პროტესტი იყო ამ რელიგიურ მისტიციზმით გაჟღენთილ პოეტური კულტურისა და მისი სრული საწინააღმდეგო მოვლენა. ეს მკაფიოთ გამოჩნდა პოეტის შესანიშნავ პოემაში: «Облако в штанах».

პოემის პირვანდელი სათაური იყო „მეცამეტე მოციქული“. „მეცამეტე მოციქულში“ პოეტი გვიხატავს ახალი ადამიანის ტკივილებს ბურჟუაზიულ გარემოცვაში და აღტაცებული მიილტვის მომავალ რევოლუციისაკენ. პოემა როგორც ყუმბარა გავარდა მეშჩანურ საზოგადოებაში და გამოიწვია დიდი აღელვება, ხოლო ახალგაზრდა პოეტებმა და საერთოდ რევოლუციონურმა ახალგაზრდობამ პოემა გამოაცხადეს ახალი პოეზიის მწვერვალად და პოეტური კულტურის დროშად.

ვლადიმერ მაიაკოვსკის პირველი პოეტური მოღვაწეობის მოწმე და თანამგრძნობი სერგეი სპასკი სწერს: 1916 წელში, როდესაც ახალგაზრდა პოეტები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ნიშნათ ერთმანეთთან სოლიდარობისა „მეცამეტე მოციქულის“ სტრიქონებით მიმართავდნენ ერთმანეთს და ამ პოემით ებრძოდენ დეკადენტების პოეტურ სკოლასო.

ხსენებულ პოემაში, როგორც ვიცით, მაიაკოვსკიმ თითქოს იგრძნო რევოლუციის მოახლოვება და იწინასწარმეტყველა:

Где глаз людей обрывается куцый
Главой голодных орд
В терновом венце революций
Грядет шестнадцатый год.

ამ პოემაში ნათლად გამოჩნდა პოეტის მებრძოლი ძალა, ორატორული აღნაგობა ლექსის ფორმისა და მთლიანად მეთაური ახალი ფორმაციის პოეზიისა. ესტეტიზმი პოეზიისა დაგმობილ იქმნა, დაგმობილ იქმნა ძველი კანონები რუსული ლექსაციისა და პოეზიაში შემოვიდა სრულიად ახალი ჰაერი.

მაიაკოვსკის პოეტურმა ხმამ ძლიერ გააოცა სიმბოლიზმის საუკეთესო წარმომადგენელი ალექსანდრე ბლოკი. მან დაინახა „მეცამეტე მოციქულში“ გენიალური სტრიქონები და საჭიროთ აღიარა ახალი ძლიერების გამოსვლა პოეზიაში.

ამის შემდეგ მაიაკოვსკი სწერს მთელ რიგ ლექსებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, იმპერიალისტური ზრახვების მატარებელი პოეზია, მაშინ დიდათ იყო გავრცელებული. ნ. გუმილიოვი და ს. გოროდეცკი უმღეროდნენ იმპერიალისტურ ომს და ცდილობდნენ შეექმნათ ომის მქადაგებელი და შოვინისტური იდეებით გაჟღენთილი პოეზია. ამ ხანებში ვლადიმერ მაიაკოვსკი დიდი გამბედაობით და პოეტური სიმძაფრით შეებრძოლა ამ ტენდენციებს და შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ლექსებისა იმპერიალისტური ომის დასაგმობად. წვრილი ლექსების გარდა პოეტმა დაამუშავა შესანიშნავი პოემა „ომი და მსოფლიო“, რომელიც მთლიანად მიმართული იყო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ეს იყო პირველი ნაწარმოები ვლადიმერ მაიაკოვსკისა, რომელიც დაიწერა გარკვეულ სოციალურ თემაზე. ეს პოემა განსხვავდა პოეტის წინანდელ პოემიდან თავისი კონკრეტიულობით, პოემას საფუძვლად უდევს ისტორიული სინამდვილე. პოემაში გამოსახულია მრავალი შესანიშნავად შესრულებული ბატალური სცენები და ყოფითი სურათები ომის დროინდელ ბურჟუაზიის ცხოვრებიდან.

როგორც მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული, ამ პოემით ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დაიწყო გმირული პათოსით ლექსის აღნაგობა და თემის მხატვრული დამორჩილება.

პოემა „ადამიანი და ნივთის“ დაწერის შემდეგ პოეტის ბიოგრაფიაში იწყება ახალი ხანა. ხდება თებერვლის რევოლუცია და შემოქმედებითი მუშაობისათვის ახალი ამოცანები იბადება.

პოეტი მალე ერკვევა დროებითი მთავრობის პოლიტიკურ სილატაკეში და გადაჭრით დგება ბოლშევიკების მხარეზე.

ყოველი პოეტის ბიოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს ბავშვობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ვლადიმერ მაიაკოვსკის დიდი დაღი ატყვია ბავშვობისას 1905 წლის რევოლუციიდან დატოვებული შთაბეჭდილებისა. უკანასკნელად გამოქვეყნებულ პოეტის დის წერილებმა, რომელიც დაწერილია 1905 წელს, კიდევ უფრო ნათელყვეს ეს ფაქტი. 1905 წ. რევოლუცია მაიაკოვსკიმ დაინახა ქუთაისში; პოეტი სწერს:

Прокламации вешали грузины, мои
товарищи грузины...

პოეტს აღწერილი აქვს ქუთაისის დემონსტრაციები, ალიხანოვის მოკვლა და ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო ბავშვმა ქუთაისში რევოლუციის დღეებით.

ოქტომბრის რევოლუციამ მისცა მაიაკოვსკის ახალი ადამიანის გაგება და დაუსახა სრულიად გარკვეული ახალი საზოგადოებრივი გზა. პოეტის ოცნება ასრულდა, ის ხდება ოქტომბრის რევოლუციის დიდი მომღერალი და საბჭოთა პოეზიის დიდი ოსტატი.

პოეტი ყოველთვის ცდილობდა „გაეღო კარები პოეტურ მეტყველებისა და მკითხველი შეეყვანა თავის პოეტურ შემოქმედებაში“. ამ ამოცანის ასრულება პოეტმა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესძლო, რევოლუციის პირველ ხანებშივე მან შექმნა შესანიშნავი სიმღერები და მარშები, რომელმაც აამოძრავეს მილიონები და გახდენ რევოლუციური პოეზიის კლასიკურ ნიმუშებად. ამავე ხანებში მაიაკოვსკიმ დაიწყო მუშაობა მხატვრულ „აგიტკებზე“ და შექმნა შესანიშნავი შედევრები, როგორიც არის „მარცხენა მარში“, „მესამე ინტერნაციონალი“ „რევოლუციის ქრონიკა“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტმა უკვე გადაწყვეტით შესძლო მოეხდინა დემოკრატიზაცია რუსული ლექსის რიტმისა და გაეხსნა კარები სოციალური ლირიკის ფორმაციისათვის.

დღევანდელი საბჭოთა პოეზია არ ამოიწურება მარტო ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტური გზით, მაგრამ ის ჯერჯერობით მაინც რჩება უნიჭიერეს პოეტათ საბჭოთა ეპოქისა. საბჭოთა სინამდვილეში მისმა პოეზიამ აამეტყველა მილიონები და პოეზიას მისცა ნამდვილი მოქალაქობრივი სიმძაფრე და ხალხური იერი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი დიდი გულისხმიერი პოეტი იყო და თანამედროვე ამოცანების ცხოველი ამთვისებელი. ის ყოველდღიურ საკითხებს დიდ მხატვრულ სიძლიერით აშუქებდა და ქმნიდა ნამდვილ პოლიტიკურად მახვილ და ქმედ პოეზიას.

პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემა „ლენინს“. ამ პოემაში ავტორმა სცადა გამოეკვეთა პროლეტარიატის გენიალური ბელადის მხატვრული სახე და მხატვრულათ აღედგინა ლენინის ცხოვრება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, ჯერ საბჭოთა პოეზიას არ შეუქმნია უფრო მონუმენტალური მხატვრული ნაწარმოები ლენინზე. შეუდარებელი და უდიდესი ექსპრესიით დაწერილია ლენინის დასაფლავების დღე, ლენინის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება გადმოცემულია დიდი პოეტური განცდით და სისადავით, მხატვრულად გამოკვეთილ სახეებით.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ყოველთვის დიდი ყურადღებით ექცეოდა მკითხველს. მკითხველსა და პოეტს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობდა. პოეტს ჭეშმარიტად შეგნებული ჰქონდა მნიშვნელობა პოეზიის ხალხურობისა და მისი პოეზია საუკეთესო ნიმუშია პოეზიის ხალხურობის ჭეშმარიტი გაგებისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ საბჭოთა პოეზიაში პირველმა დააყენა საბჭოთა პატრიოტიზმის თემა. პოემაში «Хорошо» მან ახალი, ნამდვილი სამშობლოს სიყვარული დაგვისურათა დიდი გრძნობითა და პოეტური ოსტატობით. საბჭოთა პატრიოტიზმისადმი მიძღვნილია აგრეთვე მისი ლექსი „საბჭოთა პასპორტი“, სადაც საბჭოთა პატრიოტიზმის თემა ახალი გაშუქებით გვევლინება. ამ ლექსებში უნდა ვეძიოთ საწყისები სოციალისტური ლირიკისა და სოციალისტური რეალიზმისა.

დღესაც, როდესაც კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია უდიდეს სიმაღლეს თავის განვითარებისას, ჩვენ უნდა გავიხსენოთ ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები, დაწერილი ევროპისა და ამერიკის სინამდვილის შესახებ. ჩვენს პოეზიაში ასე ნათლად და მკაფიოდ არავის მოუცია დაპირისპირება საბჭოთა სინამდვილისა და კაპიტალისტური ქვეყნისა.

ამ დაპირისპირებაში პოეტმა გამოიჩინა უდიდესი პატრიოტიზმი საბჭოთა ქვეყნისადმი, უდიდესი სიყვარულით დაგვისურათა საბჭოთა სინამდვილე და გვიჩვენა ყოვლმხრივი უპირატესობა სოციალისტური ქვეყნისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსებს საერთოდ ახასიათებს პუშკინისებური სინათლე და პოეტური ხატვის დიდი რეალიზმი.

მაიაკოვსკიმ მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობა შესწირა მუშათა კლასს, საბჭოთა ქვეყნის ინტერესებს და „გახდა საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიხსნა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

კენჭისყრა

12 აპრილს საქ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში მოხდა კენჭის ყრა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის.

ვინაიდან ჩემპიონატში მონაწილეობას ღებს პირველი კატეგორიის სამი მოჭადრაკე, რომელთაც შეუძლიათ მაესტროს სახელწოდების მოპოვება, სატურნირო კომიტეტმა დააწესა ნორმა ამ სახელწოდების მოსაპოვებლად. მაესტროს სახელს მიიღებს ის, ვინც მოაგროვებს ცხრა ქულას.

მაესტრო ვ. ა. გოგლიძე

კენჭის ყრის მონაწილენი ასე განაწილდნენ: 1. მაესტრო ილინ-ჟენევსკი (ლენინგრადი), 2. მაესტრო კანი (მოსკოვი), 3. მაესტრო რაუზერი (ლენინგრადი), 4. მაესტრო რაბინოვიჩი (ლენინგრადი), 5. მაესტრო გოგლიძე (თბილისი), 6. მაესტრო პანოვი (მოსკოვი), 7. მაესტრო რაგოზინი (ლენინგრადი), 8. ბუდო (ლენინგრადი), 9. ბონდარევსკი (როსტოვი), 10. გროსმეისტერი ლილიენტალი (უნგრეთი), 11. მაესტრო მაკაგონოვი (ბაქო), 12. მაესტრო კასპარიანი (ერევანი), 13. მაესტრო ლევენფიში (ლენინგრადი), 14. მაესტრო ჩეხოვერი (ლენინგრადი), 15. ებრალიძე (თბილისი), 16. მაესტრო კონსტანტინოპოლსკი (კიევი), 17. მაესტრო ბელავენეცი (მოსკოვი), 18. მაესტრო ლისიცინი (ლენინგრადი), 19. მაესტრო იუდოვიჩი (მოსკოვი) და 20. მაესტრო ალატორცევი (მოსკოვი).

○

დღეს, 14 აპრილს, მეორე ტურში ითამაშებენ: ილინ-ჟენევსკი-კანი, ებრალიძე-რაგოზინი, იუდოვიჩი-რაუზერი, ალატორცევი-მაკაგონოვი, ბელავენეცი-გოგლიძე, ლისიცინი-რაბინოვიჩი, კასპარიანი-ლილიენტალი, კონსტანტინოპოლსკი-პანოვი, ჩეხოვერი-ბუდო და ლევენფიში-ბონდარევსკი.

ჩემპიონატმა უნდა შეაჯამოს ჩვენი მიღწევები

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში სატურნირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მაესტრო ზუბარევმა შემდეგი განაცხადა:

უკანასკნელი მეცხრე საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ თითქმის სამმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენში მოეწყო მთელი რიგი საერთაშორისო ტურნირები. ჭადრაკის თამაშმა შემდეგი ღრმა განვითარება განიცადა და, რაც არა ნაკლებ საყურადღებოა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოჭადრაკეთა თამაშის კლასი. ამიტომ ამ ჩემპიონატს ჩატარებული მუშაობის შემაჯამებელი ტურნირის ხასიათი აქვს, რაც მას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ჩვეულებრივ ჩემპიონატები მეტწილად მოსკოვსა და ლენინგრადში ეწყობოდა, ნაციონალურ რესპუბლიკებში საჭადრაკო მოძრაობის შემდგომი გაშლა-განმტკიცების მიზნით გადაწყვეტილი გვქონდა წელს რომელიმე მოძმე რესპუბლიკაში ჩაგვეტარებინა ტურნირი. ამ მხრივ ყველაზე კარგ ადგილად ჩვენ საქართველოს დედაქალაქი თბილისი მივიჩნიეთ და ეს არჩევანი სავსებით გამართლებულია იმ დიდი ინტერესით, რომელსაც იჩენენ თბილისის მშრომელები საკავშირო ჩემპიონატისადმი.

გასულ ჩემპიონატში მოპოვებული წარმატებით ჩვენი ქვეყნის ფორმალური ჩემპიონები ლევენფიში და რაბინოვიჩი იყვნენ, ფაქტიურად კი ამ სახელს ყველა ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეს ბოტვინიკს. რამდენადაც მე ვიცი, ბოტვინიკს განზრახული აქვს გამოიწვიოს მატჩზე ამ ჩემპიონატში გამარჯვებული. ეს უსათუოდ მისასალმებელია იმ მხრივ, რომ საბოლოოდ მოეღება ბოლო იმ გაუგებრობას, რომელიც არსებობს იმის გარშემო, თუ ვინ არის კავშირში ნამდვილად ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე. თუ კი ეს მატჩი შესდგება მე მგონია ეს მოხდება ა.-წ. შემოდგომაზე.

ჩემპიონატში ბრძოლა ძალზე დაძაბული იქნება, ვინაიდან ჩემპიონატის არც ერთი მონაწილე არ არის ურყევი პრეტენდენტი პირველობისა. ამ ადგილისათვის სრული უფლებით შეუძლიათ იბრძოლონ მთელ რიგ მონაწილეებს და სრულიად გამართლებული იქნება მათი პრეტენზიები.



მაესტრო ს. ვ. ბელავენეცი

მე ვფიქრობ, რომ ჩემპიონატი, როგორც თავისი სასპორტო ინტერესით, განსაკუთრებით კი გათამაშებული პარტიების ხარისხობრივი მაჩვენებლებით მაღალ დონეზე იქნება.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემპიონატი ორგანიზაციულად კარგად არის მოწყობილი.

◇ ◇ ◇

ჰავანის მომავალი საჭადრაკო ტურნირის გამო

ნიუ-იორკი. როგორც გაზეთი „ლა პრენსა" იუწყება, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჭადრაკის დარგში ხოზე რაულ კაპაბლანკა ახლო მომავალში გამოვა ერთსადაიმავე დროს თამაშის სეანსში 350 მოჭადრაკის წინააღმდეგ ჰავანაში (კუბის კუნძული). კაპაბლანკას წინააღმდეგ ითამაშებენ კუბის კუნძულის ყველაზე ძლიერი მოჭადრაკეები. თამაში იწარმოებს 70 დაფაზე. ამასთან თვითეულ დაფაზე 5 კაცი ითამაშებს (საქდესი).

პირველი ტურის შედეგები

მეათე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ტურის პარტიები, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ საინტერესონი გამოდგნენ.

პირველი სვლებიდანვე აშკარა გახდა, რომ ამ ჩემპიონატში განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა სწორედ პარტიის დასაწყის ფაზაში, დებიუტში იწარმოებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ბონდარევსკისა და მაესტრო კასპარიანის პარტია, რომელშიც უკანასკნელმა დებიუტი ძალიან ცუდად გაითამაშა და ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში. მისმა ყოველმა ცდამ დამარცხებისათვის თავი დაეღწია უნაყოფოდ ჩაიარა და შესვენებამდე იგი დანებდა მოწინააღმდეგეს.

რაუზერ—ლისიცინისა და გოგლიძე — კონსტანტინოპოლსკის პარტიები მეტად საინტერესონი სადებიუტო და მიტელშპილის (შუათამაშის) პირველ სტადიაში, ყაიმით დასრულდა.

მოსკოვის ჩემპიონმა კანმა მიიღო მოგებული მდგომარეობა იუდოვიჩთან. ამასთანავე უკანასკნელი მოხვდა ცეიტნოტში. მიუხედავად ამისა, კანის შემდგომი უყურადღებო თამაშის გამო იუდოვიჩმა მოახერხა ფიგურისა და შემდეგ პარტიის მოგება.

დანარჩენი პარტიები შესვენებამდე არ დამთავრებულა.

ილინ-ჟენევსკის უკეთესი მდგომარეობა აქვს ალატორცევთან, ლევენფიში—ბუდოსთან, ბელავენეცს — რაბინოვიჩთან. რაგოზინ — ჩეხოვერისა და ლილიენტალ — მაკაგონოვის პარტიები დაახლოვებით თანასწორ მდგომარეობაშია. პანოვ — ებრალიძის პარტია პირველის ავადმყოფობის გამო არ გათამაშებულა.

ჩემპიონატის პირველ ტურს, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი ორგანიზაციული ნაკლი ახლდა (ბილეთების დაგვიანებით გაყიდვა და სხვ.), დიდძალი ხალხი დაესწრო.

„დინამოფონი"

გამომგონებელთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ორდენოსანი კოტე ფოცხვერაშვილის გამოგონება „დინამოფონი" (ხმოვანების მომწესრიგებელი აპარატი).

გამოგონება მოწონებულია. პრეზიდიუმის დადგენილებით, კ. ფოცხვერაშვილი დაჯილდოვებულია გულსაკიდი ნიშნით „საუკეთესო გამომგონებელს", სიგელით და ფულადი ჯილდოთი.

◇

საქ. მუზეუმის გამოცემები

საქართველოს მუზეუმის საგამომცემლო სექტორმა დაამზადა და მიმდინარე წლის განმავლობაში გამოსცემს შემდეგ წიგნებს: არჩილი—თხზულებათა მეორე ტომი ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, პ. ინგოროყვა—„სვანეთის საისტორიო აქტები". ივ. ჯავახიშვილი „სიგელები მე-12-15 საუკუნეებისა", „ომარიანი"—გ. ჯაკობიას რედაქციით, პ. ინგოროყვა—„ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტრაქტატი მე-12 საუკუნისა", „კარის გარიგება" (აღდგენილი დედანი) ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, „პეტრიწონის სემინარიის წესდება" ქართულ ენაზე და გ. წერეთლის „საქართველოს მუზეუმის ხალდური ძეგლები" (ქართული, რუსული და ინგლისური გამოცემები).

ი. ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოები

15 აპრილიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იწყებს ი. ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოების მოწყობას რესპუბლიკის რაიონებში. პირველი ორი საღამო მოეწყობა ილია ჭავჭავაძის სამშობლოში — სოფ. ყვარელსა და საგურამოში, სადაც მწერალი დიდხანს ცხოვრობდა და მუშაობდა.

სულ რესპუბლიკის რაიონებში მოეწყობა ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი 100-მდე საღამო. ასეთი საღამოები, სხვათა შორის, მოეწყობა მესტიასა, ლეჩხუმსა და რაჭაში, ყაზბეგსა, ახალციხესა და თიანეთში, სტალინირში და სხვაგან.

რაიონებში გაემგზავრებიან მწერალთა ბრიგადები. მწერლები გამოვლენ მოხსენებებით ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და წაიკითხავენ მის ნაწარმოებებს.

თბილისის საწარმოებში, სკოლებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და კლუბებში კავშირი აწყობს 105 ასეთსავე საღამოს (საქდესი).

ჭიათურაში

ჭიათურის რაიონი ღირსეულად ემზადება დიდი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის. შექმნილია იუბილეს ჩამტარებელი სარაიონო კომისია, რომელსაც 15 აპრილიდან განზრახული აქვს მთელი რიგი ლიტერატურული საღამოების მოწყობა; სპეციალური ბრიგადები მაღაროებში ჩაატარებენ მოხსენებებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. რაიონის ყველა ტიპის სკოლები გაცხოველებით ემზადებიან იუბილესათვის. სკოლებთან გამოუშვებენ ილიასადმი მიძღვნილ კედლის გაზეთებს, მოეწყობა ლიტერატურული საღამოები.

სახელგამის ჭიათურის განყოფილებამ საკმაო რაოდენობით შეიძინა ილიას ნაწარმოებები, სურათები. მაღაროებში ეწყობა ილია ჭავჭავაძის მუდმივი კუთხეები, სადაც მოთავსდება ილიას რჩეული ნაწერები, სხვადასხვა დროს გადაღებული სურათები, მოგონებები ილიაზე.

მარგანეცის მრეწველობას სტახანოველები და დამკვრელი მუშები გულმოდგინედ სწავლობენ ილიას უკვდავ ნაწარმოებებს, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ორდენოსანმა ვასილ საჩხერაძემ შეიძინა ილიას სამტომეული და წაიკითხა ილიას პოემები და მოთხრობები. ილიას ნაწარმოებებს იძენენ და კითხულობენ სტახანოველები ტრიფონ ფოფხაძე, ქ. წერეთელი, ვ. ჩაჩანიძე, უ. მაჭავარიანი და სხვები.

მოკლე ხანში თეატრში მოეწყობა ილიასადმი მიძღვნილი დიდი საღამო.

დ. სადუნიშვილი.



თბილისი. კომკავშირის ხეივანი — ნახ. ა. ფ. ჩხაიძისა

ვ. მაიაკოვსკი ქართულად

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსების პირველი ტომი (გამოცემა სახელგამისა), რომელშიაც მოთავსებულია პოემები „ღრუბელი შარვლით", „მზე" და მთავარი პოემა „ლენინი". წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ვლ. მაიაკოვსკის ლირიკული ლექსები დაახლოვებით 13 ათასი სტრიქონი. წიგნის რედაქცია ეკუთვნის აკაკი თათარიშვილს და სიმონ ჩიქოვანს. წიგნში მოთავსებულია თარგმანები: პ. იაშვილის, მ. პატარაძის, დავით გაჩეჩილაძის, ვ. გაფრინდაშვილის, გივი გაჩეჩილაძის, გრიგოლ ცეცხლაძის, ვასო გორგაძის, ილო მოსაშვილისა და ნ. მაწიშვილისა.

◇ ○

„სოლანუმ მურიკატუმ"

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გასულ წელს აგრონომმა სიმონ შარაშიძემ აჭარის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე დიდი მუშაობა შეასრულა ახალი კულტურების გაშენებისათვის. მათ შორის ყველაზე საინტერესოა „სოლანუმ მურიკატუმის" კულტურა, ამ ამერიკული მცენარის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა და ხარობს ნაწილობრივ ესპანეთშიაც — კანარიის კუნძულებზე.

ესპანეთში „სოლანუმ მურიკატუმის" ხილს ეძახიან — პეპის, რაც ნიშნავს ტკბილ კიტრს. ეს კულტურა მრავალწლიანია, სიმაღლით ჩაის ბუჩქის ოდენა იზრდება, მისი ნაყოფი 200—300 გრამს იწონის. მცენარეს აქვს ღია იისფერი ყვავილები, რაც განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევს ბუჩქს. ყვავილობა 2-3 თვეს გრძელდება. თითო ბუჩქი იძლევა 20—25 ცალ ნაყოფს. ნაყოფს ისხამს დარგვის პირველ წელშივე. მცენარე უძლებს სიცივეს 8—9 გრადუსამდე.

ჩვენს პირობებში ამ მცენარემ მოგვცა თითო ძირზე 20—25 ნაყოფი ისევე, როგორც თავის სამშობლოში. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ჩვენში მისი სიმსხო 2—3-ჯერ მეტია, ვიდრე ამერიკასა და ესპანეთში. მას აქვს გულაბა — მსხლის ფორმა და სიდიდე, გემო კი ნაზი მუსკატის ნესვისა, წვნიანი და არომატული. ამიტომ ამ კულტურას მისმა მომშენებელმა აგრონომმა ს. შარაშიძემ ნესვმსხალა უწოდა.

ნესვმსხალა ჩვენს პირობებში ადვილად ხარობს და მრავლდება. არის მშვენიერი სადესერტო ხილი, უმად იჭმევა, როგორც ჩვეულებრივი ხილი, აგრეთვე მისგან კეთდება საუკეთესო კომპოტი და მურაბა.

ნესვმსხალა ყველას შეუძლიან იქონიოს ოთახში, კასრში ჩარგული. გარდა იმისა, რომ მას აქვს იშვიათი ნაყოფი, იგი განსაკუთრებული სილამაზის სურნელოვან დეკორატიულ მცენარეს წარმოადგენს.

აჭარის მიწსახკომმა უნდა მიიღოს ზომები, რომ ეს ახალი კულტურა ფართოდ იქნეს გაშენებული.

შ. ფურცხვანიძე.

სურათზე: მარჯვნივ — „სოლანუმ მურიკატუმის" ნაყოფ მოსხმული მცენარე, მარცხნივ — აგრ. ს. შარაშიძე „სოლანუმ მურიკატუმის" ხილით.

ფოტო — ოგ. იმედაძისა

წერილი რედაქციას

ამხ. რედაქტორო!

11 აპრილს, სახელმწიფო ცირკების ცენტრალური სამმართველოს და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ცირკის მუშაკთა სანატორიული ფონდის გასაძლიერებლად რიგსგარეშე გაიმართა ღამის წარმოდგენა.

როგორც წინასწარ გამოშვებულ აფიშებში ვიუწყებოდით, ღამის წარმოდგენაში შემდეგი ნაწილები უნდა ყოფილიყო: საცირკო წარმოდგენა, ფრანგული ჭიდაობა, ცეკვა და კონცერტი სცენის მთელი რიგი ოსტატების — რუსთაველის, მარჯანიშვილის და გრიბოედოვის სახელობის თეატრების წარმომადგენელთა: ამხ. ვასაძის (სსრ კავშირის სახ. არტისტი), ვასო გოძიაშვილის, სტეპურინას, მაქსიმოვას, ბელოუსოვის, ბრაგინის და სხვ. მონაწილეობით. აფიშების გამოშვებამდე მათგან წინასწარ მიღებულ იქნა გამოსვლის თანხმობა.

მაგრამ ვასო გოძიაშვილის, აკაკი ვასაძისა და დიაკოვას გარდა, არტისტებიდან არავინ გამოცხადებულა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაკებმა საჭიროდ არ ჩასთვალეს გავეფრთხილებინეთ, რომ ვერ გამოვიდოდნენ, რაც საშუალებას მოგვცემდა სხვა ამხანაგებით შეგვეცვალა ისინი.

შედეგად მივიღეთ კონცერტის ჩაშლა და მაყურებელთა სამართლიანი აღშფოთება.

დირექციისა და ადგილკომის ცდა — აეხსნა კონცერტის ჩაშლის ნამდვილი მიზეზები — უშედეგო გამოდგა.

დირექცია და ადგილკომი თავის მოვალეობად მიაჩნიათ აცნობონ მუშა-მაყურებელს კონცერტის ჩაშლის მიზეზი და თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოიხადონ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო მომხდარი გაუგებრობისათვის.

სახცირკის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

რ. გამსახურდია

სახცირკის ადგილკომის თავმჯდომარე

არაქელოვი.

◇

ახალი ამბები

● **თბილისის** საბჭოს საკურორტო სამმართველომ ლისის ტბის რაიონის გამწვანებისა და პარკის მოწყობისათვის შეიძინა და დანიშნულ ადგილზე გადაზიდა 20.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარეულობა.

● **წელს გაფართოვდება** თბილისის საავთიაქო საწყობი, რაზედაც დაიხარჯება 57.000 მანეთი.

● **ურეხში (აჭარა)** შენდება აგურის ქარხანა, მშენებლობაზე წელს დაიხარჯება 269.000 მანეთი.

● **ადიგენში** შენდება რაიონული საავადმყოფო 20 საწოლით, საავადმყოფო დაჯდება 264.000 მანეთად და დამთავრდება წელსვე.

◇

შემთხვევები

ავარია. 11 აპრილს, ღამის 12 საათზე ძერჟინსკისა და კიროვის ქუჩების კუთხეში ავარია შემთხვა ცეცხლის მქრობელი რაზმის ავტომობილს. სასანძრო მანქანა № 20-68 (შოფერი ა. კუვალდინი) მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაეჯახა ავტობუსს № 2-11 (შოფერი ს. კონიაკოვი). დაჯახების დროს მსუბუქად დაშავდა მეხანძრე ს. გ. პაპიტაშვილი, რომელსაც აღმოუჩინეს საექიმო დახმარება. ორივე მანქანა დაზიანებულია. გამოძიება სწარმოებს.

უბედური შემთხვევა. 12 აპრილს დღისით ახალ სანაპირო ქუჩაზე საბარგო მანქანამ № 67-31 (შოფერი ი. ფ. ლეონოვი) გაიტანა 11 წლის ბიჭი ნ. ლუარსაბიძე (ფოთის ქუჩა № 5). ბავშვი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. შოფერს პასუხისგებაში აძლევენ.

დაჭრა. 8 აპრილს, საღამოს, რუსის ქუჩაზე მ. ზ. პონომარიოვა (რუსის ქ. № 3) წაეჩხუბა თავის ქმარს ა. მ. კანდელაკს და ჯოხით თავი გაუტეხა. პონომარიოვა დააპატიმრეს.

მწერალთა კავშირში

14 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს გაფართოებული სხდომა აქტივთან ერთად.

დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი საკითხები. მწერლების დასწრება სავალდებულოა.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტია ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას", რუსულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება" — ქართულად. კონსულტანტია ამხ. თოფურია. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სიმართლე და პატიოსნება — ბოლშევიკის უპირველესი მოვალეობა" — რუსულად. კონსულტანტია ამხ. გორიაჩევა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0710340, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მიერ მუხამედ მეჰედის-ძე წულუკიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.—

პასუხისმგებელი რედაქტორი

გრ. მუშიშვილი

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

გორის შთაბეჭდილებანი

ელექტრომავლის საყვირმა გვაუწყა გორის სადგურთან მიახლოვება... თვალწინ გადამეშალა ნაცნობი, მაგრამ დიდი ხნის უნახაობის გამო თითქმის მივიწყებული ადგილები.

მივყვები გუდრონით დაგებულ ლენინის ქუჩას და თანდათან ცხოველდება ჩემს ხსოვნაში ძველი გორი—ქალაქი, სადაც პირველად ავახილე თვალი, სადაც განვლეს ჩემი ახალგაზრდობის წლებმა. მივყვევარ ძველისა და ახალი ფიქრების დენას გორის ციხის ნანგრევებისაკენ, მსურს გავჩნდე უმაღლესი ბურჯის მწვერვალზე და ერთბაშად მოვავლო თვალი ძვირფასი მხარის ყოველ კუთხეს. წუთს ჩამომშორდა ნახევარი საუკუნის მანძილზე განვლილ-განცდილი. წუთს თითქო კიდევაც გავსწორდი წელში, თავი ოცი წლის ახალგაზრდად ვიგრძენ.

მივეშურები, რომ დღესაც ალერსით გადავხედო თვალწარმტაც ველმინდვრებს, ცის წიაღში იისფრად შეფენილ მთისკალთებს, მრავალის მომსწრე გორიჯვარს, მოუსვენარ ლიახვს, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება ფართოდ გაიშალოს და სიხარბით გატაცებული ვერ ამჩნევს, რომ მისი წყლის მარაგი ძლივსღა ასველებს დედამიწას.

წუთებმა სასტუმროდან ციხის ნანგრევებამდე მანძილის გავლაში მრავალ გასულ წელთა სივრცე დაიტიეს და არ დარჩა არც ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა ნამყო შთაბეჭდილებიდან, რომ განახლებულის სიძლიერით არ განმეცადა.

ორმოცდაათმა წელმა, რომელიც ადვილად გაჰქრა ჩემს შეგრძნობაში, არ გაიარა შეუმჩნევლად. ბუნების ძალებმა და ადამიანის ნებისყოფამ ბევრი რამ შესცვალა. გორიჯვრისა და ციხის ნანგრევები ნაცადი დარაჯებივით დაჰყურებენ ძველი ქალაქის აღორძინებას.

ვგრძნობ დაღალვას, მაგრამ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, მივაღწიო ნანგრევების უახლოეს საფეხურს მაინც და დავტკბე არა ისტორიულ ძეგლთა სილამაზით, არამედ განახლებული ქალაქის ახალი ცხოვრებით.

დავდივარ ქუჩებში. მოსწავლეების მხიარული ყიჟინი აცოცხლებს და ასულდგმულებს მიწისძვრისაგან დანგრეული სახლების ნაცვლად აგებულ რკინაბეტონის შენობებს და მომესმის მათი რიგების აწყობილ ფეხის ხმაში ჯანსაღი სულის მედგარი ძალა, ბედნიერი ახალგაზრდობის დაუშრეტელი სიხალისე. საბჭოთა სამშობლოს ნორჩი თაობა არ ჰკარგავს უქმად არც ერთ წუთს და მთელი დღის განმავლობაში სკოლების ღია ფანჯრებიდან მოისმის მცვლელ წყებად მეცადინეთა დაუსრულებელი ჟრიამული.

მაგონდება საკუთარი ბავშვობა. რამდენი დრო იკარგებოდა უქმად, რამდენი ნიჭი იღუპებოდა უსამართლობისა, სიღარიბისა და უმეცრების შედეგად.

ვიწრო მიხვეულმა ქუჩამ მიმიყვანა ყოფილ სამასწავლებლო სემინარიასთან. მიწისძვრას გაუმაგრდა მარტო ქვემოთა სართული, მაღალი ხეებით დაჩრდილული ფართოდ გაშლილი ეზო სავსეა ახალგაზრდობით. ისინი გართულნი არიან მიზანში სროლით და ყოველი მოხდენილი ნასროლი მათს საერთო აღტაცებას იწვევს.

ჩემი გონება ისევ წარსულს უბრუნდება. გადავთვალე რამდენიმე ათეული წელი და თვალწინ დამიდგა ჩვენი ძვირფასი სტალინის სიყრმე...

სიცოცხლით აღსავსე, ტკბილად მომღერალი, საუკეთესო მოწაფე, დიდი იმედი ჩამორჩენილი ამხანაგებისა... დიდხანს უსიტყვოდ შევყურებ ალიზის პატარა შენობას, სადაც დაიბადა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი... ეს წუთები დაუვიწყარია ჩემთვის... ვერც ერთ დიდებულ სასახლეს, ვერც ერთ ციხესიმაგრეს ვერ შეეძლო მოეხდინა ჩემზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება. მოწიწებით შევყურებ დროისა და ამინდისაგან დაზიანებულ კედლებს, როგორც გენიალური ბავშვის უსიტყვო აღმზრდელებს, და ვამაყობ ამ სიახლოვით. სწორედ აქ, მათ შორის გამოიწრთო ფოლადის ნებისყოფა, [illegible] ღიადი, ჩაგრულ მშრომელთა მოსიყვარულე გული.

დასასვენებლად შევიარე დიდბაღში. თითქო არაფერი არ შეცვლილა. თავის ნებაზე მიშვებული მაღალი ხეები საამო შრიალით მთავაზობენ ხის სკამს თავის მაგრილებელ ჩრდილში. აქ ჩემთვის ახალია ყვავილების პატარა მდელო ჯაჭვის გალავნით და ძეგლით, რომელიც სდარაჯობს ძვირფასი მასწავლებლისა და მეგობრის ნიკო ლომოურის საფლავს. სჩანს მზრუნველმა ხელმა მოსძებნა იგი მივიწყებულ სასაფლაოზე, გადმოასვენა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ ადგილს და ამით ცნობილი ხალხოსანი მწერალი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე შრომისა და დაუსრულებელი ზეიმის მონაწილე გახდა.

ვათვალიერებ გორის საავადმყოფოს. ამილახვრების ყოფილი სასახლე დეკორატიული ბაღნარით, გაჩირაღდნებული დარბაზებით დღეს თვალწინ წარმომიდგა სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა თავშესაფარად. ირგვლივ კედლებთან ჩამწკრივებული თეთრი საწოლები... რა ვიცოდი, თუ ორი-სამი დღის შემდეგ მეც მძიმე სენით შეპყრობილი გავიზიარებდი მზრუნველი მკურნალის მიმართ იმედით აღსავსე ფერმკრთალი სახეების ბედს... მოულოდნელმა ავადმყოფობამ შემაწყვეტინა წლობით მოფიქრებული განზრახვის სისრულეში მოყვანა, აღარ დამცალდა უნახავად დარჩენილი ადგილებისთვისაც უკანასკნელად ერთხელ კიდევ მომევლო თვალი. ისევ ელექტრომავლის გამაფრთხილებელი საყვირის ხმა...

ვემშვიდობები პატარა ქალაქს, რომელმაც წარმოშვა დიადი პიროვნება და მოისმინა პროლეტარიატის განთავისუფლებისაკენ მიმართული მისი პირველი სიტყვა.

◆

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

14-IV	ტოსკა
15-IV	დაისი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

14-IV წარ. № 148	იცკა რიქინაშვილი
15-IV წარ. № 149	იცკა რიქინაშვილი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

14-IV	ალკაზარ.
15-IV	ალკაზარ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
სეზონის გაგრძელების გამო ვადაგასული მუდმივი ადგილების ხელშეკრულების განახლება შესაძლებელია იმავე ადგილებზე 1-ლ მაისამდე.

სახცირკი
ტელ. 3-11-44
18 აპრილს წარმოდგენა დღისით შეცვლილი პროგრამით
დასაწყ. 2 ს.

დღეს, 14 აპრილს, დიდი წარმოდგენა განახლებული პროგრამით
საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატთა მონაწილეობით
ფრანგული პროფეს. ჭიდაობის
მატჩების მე-45 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი
1—გადამწყვეტი შეხვედრა გ. ბაბალიკაშვილი—ჩურკინი
2—საფრონოვი — გომოზოვი
3—ფრანკ გუდი—როზაკი
წარმოდ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა—10 ს. 30 წ.

სსრ კავშირის შინსახკომის რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის ბუფეტებისა და ვაგონ-რესტორანების მთავარი სამმართველო
ამიერ-კავკასიის კანტორა მგზავრთა საყურადღებოდ
ბუფეტებში ა/კ. რკ. გზ. ყველა საკვანძო სადგურზე
ცხელი კერძებისა და ცივი საუზმეების, დიეტიური, საბავშვო და ნაციონალური საჭმელების დიდი არჩევანი
ჩაი, ყავა, კაკაო, პირაჟკები, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი
გამაგრილებელი სასმელები, ყოველნაირი მინერალური წყლები, ლუდი, ღვინოები.
გამოცდილი შეფკულინარებისა და კვების დარგის ექიმების მეთვალყურეობით.
მატარებლების მოსვლის დროისათვის წინასწარ გაიწყობა მაგიდები ცხელი საჭმელებითა და ცივი საუზმეებით.
თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ერევნის მხატვრულად გაფორმებულ რესტორანებში მუსიკალური ანსამბლები და ჯაზ-ორკესტრები.
მიიღება წინასწარი შეკვეთები სადილზე, ვახშამზე, ბანკეტებზე და სხვ.
შორეული გზის მატარებლებში არის ვაგონ-რესტორანები და კუპე-ბუფეტები ცხელი და ცივი კერძებით.
თავაზიანი და სწრაფი მომსახურება.
1533
დირექცია.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11	დადგმის მეორე კვირა ხმოვანი ფილმი ფრთოსანი მღებარი რეჟისორი ლეო ესაკია ოპერატორი დ. კანდელაკი
დამკვრელი 6, 7-40, 9-20, 11	
კომკავშირელი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი დიდი ფრთები
რ. ლუქსემბ. 6, 7-40, 9-20, 11	დადგმის მეორე კვირა ხმოვ. მხატვ. ფილმი ფრთოსანი მღებარი
26 კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30	
ახალი ამბები.	ესპანეთის ამბები ქვ. 16 გამოშვ. ხმოვანი ჟურნალები №№ 13 და 14.

სტამბა „კომუნისტი" აწარმოებს
მოწაფეების მიღებას
18 წლიდან 23 წლამდე შემდეგ საამქროებში:
საამწყობო, სალინოტიპო, სამბეჭდავო, საამკინძაო, სასტერეოტიპო და ასოთ-ჩამომსხმელი.
პირობების გაგებისათვის მიმართეთ სტამბის დირექციას (კამოს ქუჩა, № 68 დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე).
90

საერთო კრების დადგენილებით ხდება საქ. სარეწტყეკავშირის სისტემაში შემავალ არტელ
„ლესნოი ტრუდის" ლიკვიდაცია.
პრეტენზიები მიიღება ა. წ. 25 აპრილამდე. ლენინის ქ. № 15, ხუბულაშვილთან.
16883
ლიკვიდკომი.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო:—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

შპ. ს. ორჯონიკიძის სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—3563